

# ხობის მოამბე

№9 (7000) 26 მაისი, კვირა, 2013 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

# 26 მაისი–დიდი ეროვნული დღესასწაული!



## „მრავალჟამიერ თქვენს პატრიარქობას, ჩვენო უწმიდესობავ!“

>>>>>>>>>> 3,4,5

მინდა ჩემს მშობლიურ კუთხეს, ყველა ხობელს მოგილოცოთ ჩვენი ქვეყნის უდიდესი დღესასწაული - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და კიდევ ერთხელ გითხრათ გულწრფელი მადლობა წლების მანძილზე მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის. ჩვენ ერთად ბევრი რამ შევძელით ხობის განვითარებისათვის და დარწმუნებული ვარ, ახლა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში დიდი აღმშენებლობა იწყება, ხობი და ხობელები კვლავ ჩვეული ერთგულებით მიიღებენ მონაწილეობას სამშობლოს უკეთესი მომავლის მშენებლობაში.

განსაკუთრებით მინდა 26 მაისი მივულოცო ახალგაზრდებს, რადგან სწორედ, თქვენ გერგოთ უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობა დაასრულოთ მრავალი თაობის, თავდადებული მამულიშვილების საუკუნეების ნაღვაწი და ააშენოთ დამოუკიდებელი, განვითარებული, ერთიანი საქართველო.



თუ სახელმწიფო ჩამოყალიბებულია როგორც ძლიერი, უდრეკი ბირთვი, მაშინ ეკონომიკა, რელიგია, კულტურა, ინფრასტრუქტურა და ზოგადი სოციალური მდგომარეობა ბრწყინვალედ წარიმართება. ჩვენი დღევანდელობა ამ გზას ადგას და ერთად მივყვეთ უკეთესი მომავლისათვის სწრაფვას.

მუდამ მიგულეთ თქვენს გვერდით.

**გოდერძი ბუკია,**
**ხობის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში.**



26 მაისი ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის, ერთიანობის, თავისუფლების სიმბოლოა. დღეს, როგორც არასდროს ქართველი ხალხი პატივს მაიგებს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, ზეიმობს თავისი მონაპოვარით და ამაყობს ქართველობით. წინაპრებმა საკუთარი სისხლით, თავგანწირვით მოგვიტანეს ქართველობა და დაგვიდეს დიდების კვარცხლბეკზე. ჩვენც ბრძოლა გველის, ერის გამთლიანების, ეკონომიკური გაძლიერების, სამართლიანობის აღდგენის, ერთ მუშტად შეკვრის ბრძოლა. ამით უნდა შევძლოთ ჩვენი წინაპრების საქმის გაგრძელება. უფალმა თავისუფლება მოგვანიჭა და ვალდებულნი ვართ ვისწავლოთ თავისუფალ მოქალაქეთა მსგავსად აზროვნება და ცხოვრება. ჩვენი ვალია, გავუფრთხილდეთ, თაობებს გადავცეთ, მომავალს სათუთად შევუნახოთ საქართველოს ისტორიაში დიდი და ღირსეული, თავისუფლებით აყვავებული დღე–26 მაისი. ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღეს.

**მამუკა ქარდავა,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს დღე გვირგვინია ჩვენი თავისუფლებისა, გვირგვინს კი არავის უთმობენ. სიამაყით ვივსებით, როცა 26 მაისს ვახსენებთ, ნათელი სხივი შემოიჭრება ჩვენს სულებში და გვაგრძნობინებს, რომ ვცოცხლობთ, რომ ქრისტეს ჯვარი მიგვიძღვის წინ, რომ ვართ ერი, რომელსაც უკან დახევა არ სჩვევია.

ქართველი კაცი ოდითგანვე იბრძოდა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის. თითქოს უფალი ცდიდა ქართველი ხალხის მოთმინებას, ყოველთვის დასწაფებოდა თავისუფლებას. ჩვენი ქვეყნის მიწის თითოეული გოჯი გმირთა სისხლითაა გაპოხიერებული. ათასი ჯურის მტერი გვეხვეოდა: მაგრამ ყველაფერს გავუძელით. დღესაც ვიბრძვით თავისუფლებისათვის, ჩვენი კუთვნილი ადგილის დამკვიდრებისთვის საერთაშორისო არენაზე, თავისუფლება ჩვენთვის ნატვრის თვალია, თვალი, რომელიც სამშობლოსთან, ქვეყნის ინტერესთან არის გაიგივებული.

ვულოცავთ მთელ საქართველოს ამ ღირშესანიშნავ დღეს და ჩვენ მ.პ.გ. „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“ ბატონ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ყველაფერს ვიღონებთ საქართველოს ასაღორძინებლად, ქართველი ხალხის გასაძლიერებლად და გასამთლიანებლად.

გათითოკაცება არ გამოგვადგება, ერთიანობა და სიყვარული გაგვაძლებინებს.

ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს.

***მ.პ.გ. „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“-ს ხობის რაიონული ორგანიზაცია.***

## „ყველაფერს გავაკეთებთ მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ“



>>>>>>>>>> 6,7

როგორც ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის, 26 მაისი ჩემთვისაც დღესასწაულია, იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა, ბავშვობიდანვე ეს თარიღი უმნიშვნელოვანესი იყო ჩემთვის და სამშობლოს ერთგულებასთან, მისთვის თავგანწირვასთან და უდიდეს სიყვარულთან ასოცირდებოდა. მიხარია, რომ ქართველი ვარ...

## შეხვედრა მაჟორიტარ დეპუტატთან

საქართველოს პარლამენტის წევრის, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ინიციატივით, დეპუტატის ბიუროში, მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებთან, პარტიების თავმჯდომარეებსა და მასმედიის წარმომადგენლებთან საქმიანი შეხვედრა გაიმართა, სადაც ისაუბრეს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე, მისი გადაჭრის გზებსა და სამომავლო პერსპექტივებზე. დეპუტატმა დამსწრე საზოგადოებისაგან მაქსიმალური გულწრფელობა, შექმნილი სიტუაციის რეალური სურათის ასახვა, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბება ითხოვა.

„ჩემი დიდი სურვილია, შეხვედრები ტრადიციულად ორ თვეში ერთხელ გაიმართოს და გულახდილად და თამამად ვისაუბროთ. ერთმანეთის აზრს პატივი ვცეთ და ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ“-თქვა გოდერძი ბუკიამ.

შეხვედრამ სასიამოვნო და თბილ გარემოში ჩაიარა.

**მალხაზ ბუბუტეიშვილი...**

**კიდევ ერთი გულიანი, ნიჭიერი და იმედიანი კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, გაეცალა ცოდვამადლიან წუთისოფელს. კაცი, რომელმაც თავისი ცხოვრება (აგვისტოში 56 წლის გახდებოდა), სინდის-ნამუსით, სანიმუშო და მისაბაძი გზით იარა და არა მარტო ლამაზ ოჯახს, არამედ ქვეყანას დააკლდა.**

**მალხაზ ბუბუტეიშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას შეალია თავისი ცხოვრების ულამაზესი წლები და „ხარკიც“ თავის სათაყვანებელ ქვეყანას თავისებურად–კარგ ქართველობასა და ჭირისუფლობაში გადაუხადა.**

**ომახიანი ხმითაც გამორჩეული ახალგაზრდა კაცი უეცრად (მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა), ჩუმად, უხმაუროდ წავიდა. მაგიდაზე კი სამშობლოსათვის საკეთებელ საქმეთა ნუსხა დარჩა...**



**თავისი სათაყვანებელი ხობი და ხობელები გულისტკივილით გააცილებენ მას უკანასკნელ გზაზე.**

**გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები დიდი გულისტკივილით ვეთხოვებით გაზეთის მუდმივ მხარდამჭერს და გულშემატკივარს. მწუხარებაში თანავუგრძნობთ მის ოჯახს.**

# ჯონ კერი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს



ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„სიამოვნებით ვუგზავნი ჩემს უთბილეს სურვილებს ქართველ ხალხს, 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. ჩვენს ქვეყნებს აქვთ ახლო პარტნიორობა, დაფუძნებული საერთო ღირებულებებისა და ორმხრივი ინტერესების მტკიცე საფუძველზე. ჩვენ ერთგული ვრჩებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მიმართ. ჩვენ პატივისცემას გამოვხატავთ თქვენი ჯარების მიმართ, რომლებიც მსახურობენ ავღანეთში და ვაგრძელებთ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერას. ამ დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მზადყოფნას გაღრმავდეს ეს მეგობრობა, რადგან ერთიანობა და თანამშრომლობა არის ძალა. გილოცავთ ქართველებს მთელს მსოფლიოში თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს“, - აღნიშნულია განცხადებაში.

# დავით უსუფაშვილი—ძალადობით პრობლემები არ გვარდება და მოძალადე საბოლოო ჯამში მარცხდება

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიჯეროთ, რომ ძალადობით პრობლემები არ გვარდება და მოძალადე საბოლოო ჯამში მარცხდება“.

ასე გამოეხმაურა დავით უსუფაშვილი 17 მაისს, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს და აღნიშნა, რომ ეს დღე ძალიან მძიმე იყო და ამ დღიდან ყველამ დასკვნები უნდა გამოიტანოს.

„მაშინ გვექნება სახელმწიფო და მაშინ იგრძნობენ ჩვენი მოქალაქეები თავს დაცულად და თავისუფლად, როდესაც კანონის წინაშე იქნება თანასწორობა. კანონის წინაშე ყველას თანაბარი უფლება აქვს, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობის, მათ შორის რელიგიური ატრიბუტიკის ქონის თუ არქონის. სასულიერო პირებს, კანონმდებლობით გარკვეული პრივილეგიები და განსხვავებული რეჟიმი აქვთ მინიჭებული. მაგალითად, აღსარების საიდუმლოების გათქმა კანონით დაუშვებელია და სასულიერო პირს ვერავინ დაკითხავს მოწმედ იმ საქმეში, რაც ცნობილი მისი საეკლესიო მოვალეობის შესრულების დროს გახდა. მაგრამ არც ერთი კანონი არ ამბობს იმას, რომ ვინმე არის თავისუფალი თუ დააზიანებს სხვა პირის ქონებას, გატეხავს მინას, ვიდეო კამერას ან ვიღაცას რაღაცას ჩაარტყამს. ასეთი იმუნიტეტი არავის გააჩნია, მათ შორის არც ერთი რელიგიის და პროფესიის წარმომადგენელს. აღნიშნულთან დაკავშირებით თავად სასულიერო პირებმა განაცხადეს, რომ თუკი ვინმემ გადაამეტა და არსებობს პრობლემა, მზად არიან პასუხი აგონ. თუკი ვინმემ რაიმე ემოციების გამო სხვაზე აყოლის თუ საკითხის ვერგარკვევის გამო კანონი დაარღვია, მაშინ ყველა ასეთმა პირმა პასუხი უნდა აგოს, - განუცხადა ჟურნალისტს დავით უსუფაშვილმა.



პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ადამიანებს სულ რამდენიმე თვის წინ ეკრძალებოდათ სხვა მიზნებით შეკრება, მიტინგის მოწყობა, ამა თუ იმ პირის გვერდით დგომა და მისი მხარდაჭერა და მაშინაც არსებობდა განცდა, რომ მათ სახელმწიფო ვერ იცავდა.

17 მაისს განვითარებულ მოვლენებს პარლამენტის 2 კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე მთავარი პროკურორის მოადგილე შოთა რეხვიაშვილი გამოეხმაურა.

„ვნახავთ კონკრეტულ პირებს, რომლებიც ჩადენილი დანაშაულის გამო ადეკვატურ პასუხს აგებენ“, - აღნიშნა მთავარი პროკურორის მოადგილემ.

მან აღნიშნა, რომ 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

# ცესკ-მ პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების წინადადებებით მიმართა

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების წინადადებით მიმართა.

როგორც ცსკ-ში განმარტავენ, ამ ინიციატივის საჭიროება საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრისა და 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნების პროცესში გამოვლენილმა საკანონმდებლო ხარვეზებმა და საჩივრებზე რეაგირების პროცესში საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების თაობაზე დანერგილმა სასამართლო პრაქტიკამ გამოიწვია.

წინადადებები წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის წესების დაზუსტებას, საარჩევნო კომისიების წევრთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაზრდას, კენჭისყრის პროცედურების დაზუსტებასა და გამარტივებას, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიების შედგენის ახალ წესს ეხება.

## დაიჯესტი

# დევნილები ელექტრონულ პირადობის მოწმობას უფასოდ მიიღებენ

ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ბრიფინგზე განაცხადა.



„ბრძანების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გადაწყვიტა, რომ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე სოციალურად დაუცველ სეგმენტს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილებს, ახალი ელექტრონული პირადობის მოწმობები უფასოდ მივცეთ, რადგან მათ იმ 34 ლარის გადახდა არ მოუწიოთ, რასაც ჩვეულებრივ, მოქალაქეები იხდიან ხოლმე. დღეიდან დაწყებული, მომავალი ხუთი შაბათ-კვირის განმავლობაში 09:00-დან 21:00 საათამდე თბილისში და სხვა რაიონებში სხვადასხვა განრიგით, 09:00 საათიდან იუსტიციის სახლისა და სერვისების განვითარების სააგენტოს დახმარებით, ამ პირადობის მოწმობებს უფასოდ გავცემთ. ეს ემსახურება ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ მიზანს - ჩვენი ვალია, რომ 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე საქართველოს ერთიანი დაზუსტებული საარჩევნო სია მივცეთ და გავიგოთ, რამდენი რეგისტრირებული დევნილი გვყავს საქართველოში. ეს მიზანი საშვილიშვილოა და მინდა, ყველა ჩემს კოლეგას იუსტიციის სახლიდან და პირველ რიგში, სერვისების განვითარების სააგენტოდან, რომლებიც 12 საათის და რიგ შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში იმუშავებენ, მთელი უწყებისა და მთავრობის სახელით მადლობა ვუთხრა“, - განაცხადა წულუკიანმა.

მინისტრი ყველა სრულწლოვან დევნილს მოუწოდებს, ეს დრო გამოიყენონ და ელექტრონული პირადობის მოწმობა უფასოდ აიღონ.

„ჩვენ რეალურად, დღეს იმ დიდ საქმეს ვუყრით საფუძველს, რასაც საქართველოში ერთიანი საარჩევნო სიის შექმნა ჰქვია“, - აღნიშნა თეა წულუკიანმა.

# მაია ფანჯიკიძე ტოკიოში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ მიღებას დაესწრო

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიღება იაპონიაში საქართველოს საელჩოს მიერ იყო ორგანიზებული და მას იაპონიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, იაპონური ბიზნესწრეების, კულტურის სფეროსა და სპორტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



მაია ფანჯიკიძემ და იაპონია-საქართველოს მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა იასუტოში ნიშიმურამ მიღებაზე მყოფ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს.

„ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო იაპონიაში წარმატებული ვიზიტის შემდეგ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, იაპონიაში საქართველოს საელჩოსთან და საქართველოს ელჩთან, ბატონ რევაზ ბეშიძესთან ერთად. გაოცებული დავრჩი როგორი სითბოთი იხსენებენ ის იაპონელები საქართველოს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არიან ნამყოფი. კიდევ უფრო დიდი სიურპრიზი იყო, იაპონური გუნდის მიერ ქართული სიმღერების არაჩვეულებრივი შესრულება. ძალიან კარგი საღამო იყო და ძალიან თბილი სიტყვებით გამოვიდნენ ჩვენი იაპონელი მეგობრები. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მეგობრობა ამით არ სრულდება და ჩვენ კიდევ ბევრჯერ გვექნება შეხვედრის შესაძლებლობა“, - განაცხადა ფანჯიკიძემ.

როგორც მიღებაზე იაპონიაში საქართველოს ელჩმა რევაზ ბეშიძემ აღნიშნა, იაპონიასა და საქართველოს შორის ურთიერთობები დინამიურად ვითარდება.

„პოლიტიკურ სფეროში იაპონია მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ეკონომიკურ სფეროში სხვადასხვა მიმართულებებით და დღევანდელი დღეც ჩვენ ორ ერს შორის ურთიერთობას ეძღვნება“, - აღნიშნა ბეშიძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე 19-24 მაისს იაპონიაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში მაია ფანჯიკიძე თავის იაპონელ კოლეგას, იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრს, იაპონიის განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერების და ტექნოლოგიების მინისტრს, ასევე იაპონელ პარლამენტარებს და ბიზნესწრეების წარმომადგენლებს შეხვდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ლექცია წაიკითხა იაპონიის სასაკავას მშვიდობის ფონდში, სადაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე ისაუბრა.

ვიზიტის დასასრულს მაია ფანჯიკიძე იაპონური მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

# „მრავალჟამიერ თქვენს პატრიარქობას, ჩვენო უწმინდესობავ!“

უდიდესი წარსულითა და კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეულია ჩვენი პატარა ქალაქი. აქ ოდითგანვე შენდებოდა ეკლესია–მონასტრები. ამის დასტურია ხობის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი. ტაძრის დაარსება გიორგი მეორე დადიანის სახელს უკავშირდება. ისტორიულ წყაროებს თვალს თუ გადავავლებთ, ხობის მონასტერი სადადიანოს მთავარი საძვალე გახლდათ. აქ სხვადასხვა დროს დასვენებული ყოფილა მარიამ ღვთისმშობლის კვართი, წმინდა გიორგის ბარძაყის ძვალის ნაწილი, იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები, წმინდა მარინეს მკლავი, წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი, მრავალწლიანი ხატი, რომელიც გაყოფილია 25 უჯრად. დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი.

ამ მოკლე პერიოდში ხობში რამოდენიმე ეკლესია აშენდა და წირვა–ლოცვა აღევლინა. ასეთ ახლადაშენებულ ტაძართა შორისაა პირველ მაისში ბათუს მთაზე ყოვლადწმინდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმინდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მღვმღელთმთავრისა და საკვირველმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსი და საპატრიარქო რეზიდენცია. ეკლესიის აშენების სურვილით 2005 წლის შემოდგომაზე, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ხობის რაიონიდან, ამ სოფლის მკვიდრმა გოდერძი ბუკიამ, სურვილი ტაძრის აშენების შესახებ მეუფე გრიგოლს გაანდო და ამ დიდი საქმისათვის კურთხევა სთხოვა. 2006 წლის 15 აპრილს ღვთის მადლითა და კათოლიკოს–პატრიარქის დალოცვით, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით ახალი ტაძრის საძირკველი იკურთხა. ამ ღირშესანიშნავი დღიდან შვიდი წელი გავიდა და დღეს ლამაზად წამომართული სამონასტრო კომპლექსი ამშვენებს იქაურობას, რომელიც ხობის ქვით ნაშენ გალავანშია მოქცეული; აქაა ერთი გუმბათოვანი ტაძარი, რომლის თაღებქვეშ არის ერთი საშუალო და ორი მცირე ზომის საკურთხეველი. ტაძრის მიმდებარედ დგას ეკლარის თეთრი ქვით გამშვენებული სამრეკლო და ერთსართულიანი კაპიტალური ნაგებობა. ამ ნაგებობის ერთ ნაწილში განთავსებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის რეზიდენცია და ადგილობრივი მღვდელთმთავრის სენაკი, მეორე ნაწილში კი–ტაძრის წინმძღვრის სამუშაო ოთახი, სატრაპეზო და ბიბლიოთეკა, სამი მოკრძალებული ზომის ოთახი–აუდიტორია. შენობის ამ ნაწილში ბინას დაიდებს ხობის წმიდა ცოტნე აღმსარებლის სახელობის სასულიერო-საგანმანათლებლო ცენტრი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ კომპლექსის ავტორი ხუროთმოძღვარი რევაზ ჯანაშიაა.

თითოეული ხობელისათვის 10 მაისი ერთ-ერთი გამორჩეული დღე იყო, რამეთუ ისინი დიდი სიყვარულით და მოწიწებით ემზადებოდნენ ამ დღისთვის, როცა ღვთითკურთხეულ ჩვენს ქალაქს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ესტუმრებოდა. დიდი იყო სიყვარული და მოკრძალება, მრევლი, დიდი თუ პატარა პატრიარქს სოფელ თეკლათთან ელოდებოდა. პატრიარქის ჩამობრძანებამდე ხობს გოდერძი ბუკიას მოწვევით პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ესტუმრა. მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას სამუშაო ოფისში მას ხობის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლები და ჟურნალისტები დახვდნენ. ხობში სტუმრობისას პარლამენტის თავმჯდომარემ ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი დაათვალიერა.

პატრიარქი ხობის საზღვარს უახლოვდებაო ითქვა და ყველანი პატრიარქის დასახვედრად გავეშურეთ, სამღვდელოება, ერი თუ ბერი, პატარა ბავშვები ყვავილებით ხელში, ყველანი დიდი სიხარულით ელოდა მის უწმინდესობას. და აი, ისიც გამოჩნდა, წუთით მისი ესკორტი შეჩერდა. პატრიარქი გადმობრძანდა, დალოცა იქ მყოფნი და გზა ხობისაკენ განაგრძო. სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქ ილია მეორესთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მოწვეულმა სტუმრებმა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში აშენებული სამონასტრო კომპლექსი მოინახულეს. მისმა უწმინდესობამ ტაძარში შეკრებილ მრევლს ქადაგებით მიმართა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა: „ღმერთმა გაკურთხოთ და გაგაძლიეროთ, ღმერთმა აკურთხოს ჩვენი ერი.

4

ღვთის მსგავსება ნებისმიერ პიროვნებაში განაპირობებს სრულყოფილებისაკენ მის სწრაფვას. სრულქმნა კი არის ყოველი ქრისტიანის მოწოდებაც და ვალდებულებაც.

* * *

როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს პიროვნება, თუ მას არა აქვს ღვთის ჭეშმარიტი რწმენა და მთელი არსებით არ არის მინდობილი უფალს, ადვილად დაკარგავს მხნეობას.

*საალდგომო ეპისტოლედან*

## ფოტოკოლაჟი











# „მრავალჟამიერ თქვენს პატრიარქობას, ჩვენო უწმინდესობავ!“

3

ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ მშვიდობა სუფევდეს საქართველოში და მთლიანობაში. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეშმაკი ყოფს, და ღმერთი აერთიანებს. მაშინ ვისმინოთ ხმა უფლისა და ერთიანობა შევინარჩუნოთ. ქრისტე აღსდგა...“ წმინდა სინოდის და ხელისუფლების წარმომადგენლებმა საპატრიარქოს რეზიდენცია და წმინდა ცოტნე ალმსარებლის სახელობის სულიერ-საგანმანათლებლო ცენტრიც დაათვალიერეს.

**„ვულოცავ ხობელებს, სამეგრელოს და სრულიად საქართველოს დღევანდელ დღეს, როდესაც კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან აღმშენებლობით პროექტს დაესვა წერტილი. სამონასტრო კომპლექსი დღეს ოფიციალურად გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს და უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომ ამ ღონისძიების აღსანიშნავად უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თავად ჩამობრძანდა ხობში. სიმბოლურია ისიც, რომ სწორედ ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში ხდება ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა. ღმერთმა ინებოს, რომ სიკეთე და სიყვარული იქცეს ჩვენი ცხოვრების მთავარ მეგზურად“,** – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ტაძარი ხალხს ვერ იტევდა, უამრავი ადამიანი იყო მოსული ტაძრის დასათვალიერებლად, ხობი იმ ბევრ სტუმარს ღირსეულ მასპინძლობას უწევდა. მათ შორის გახლდათ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია. მან იქ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა: **„თქვენო უწმინდესობავ! ჩემო ხობელებო, მოწვეულო სტუმრებო, დღეს ნამდვილად დიდი ზეიმია ჩვენს მხარეში. აქ მობრძანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ჩვენი სულიერი მამა ილია II-ე და თავისი მობრძანებით აკურთხებს ამ მხარეს, გვეფერება და გვესიყვარულება თითოეულ აქ მყოფთ. ეს ტაძარი, სადაც ვიმყოფებით, აქაური მკვიდრის, გოდერძი ბუკიას და სხვა ამ მხარის მკვიდრთა და თანამემამულეთა ღვაწლითა და შრომით აშენდა. თქვენი მობრძანება თქვენო უწმინდესობავ, ძალიან დიდი პატივია, ნუგეში და დიდი იმედია, რომ თქვენი ლოცვა–კურთხევა კიდევ უფრო გაგვაძლიერებს იმისათვის, რომ ხვალ და ზეგ უფრო მეტი გაკეთდეს. კარგია ფიზიკური აღმშენებლობა, მისი ეკონომიკური ზრდა და განვითარება, მაგრამ ამ ყველაფერს უდაოდ სულიერება საფუძვლად უნდა დაედოს. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე ჩვენო პატრიარქო. მრავალჟამიერ სრულიად საქართველოვ!“**

მადლიერება გამოხატა თავის მიმართვაში ამ ტაძრის ქტიტორმა და ამ დიდი ზეიმის ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა ბატონმა გოდერძი ბუკიამ: **„თქვენო უწმიდესობავ, მეუფენო, ჩემო ხობელებო, უდიდესი მადლობა ღმერთს, რომ უწმინდესი და უნეტარესი, ჩვენი დიდი მამა ილია II-ე დღეს სტუმრად გვყავს. ღმერთმა მომცა ძალა ეს დიდი საეკლესიო კომპლექსი, რეზიდენციით მეუფის კურთხევითა და ყველა კანონის დაცვით აშენდა. დარწმუნებული ვარ, ახალი საეკლესიო კომპლექსისა და საპატრიაქოს რეზიდენციის სიახლოვე ხობელებისათვის და არა მარტო მათთვის, სულიერების კერად იქცევა და ამ რეგიონს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს. უახლოეს მომავალში ახალი ტაძარი დიდ საგანმანათლებლო-აღმზრდელობით და კულტურულ ცენტრად იქცევა, რასაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან ქართული ეკლესია მუდამ იყო ერის სულიერი და კულტურული საგანძურის მფარველი. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა აღვნიშნო, იმ უდიდესი ყურადღების შესახებ, რომელიც გამოიჩინა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II-ემ საეკლესიო კომპლექსის მშენებლობის მიმართ. აქვე მინდა განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლს, რომელიც ხშირად მობრძანდებოდა მშენებლობის მოსანახულებლად. ის რუდუნებით ეკიდებოდა ყოველ დეტალს და ნიუანსს, რამაც, ვფიქრობ, მხოლოდ დადებითი როლი შეასრულა ამ კომპლექსის მშენებლობაში. შვიდი წლის განმავლობაში ვმუშაობდით მთელი ხობი, მთელი სამეგრელო, მეგობრები თუ საქმიანი პარტნიორები, რომელიც ჩემს გვერდით იდგა. მართალია ტაძარი უშუალოდ ჩემი ოჯახის სახსრებით აშენდა, მაგრამ, რომ არა ამ ხალხის თანადგომა და ერთგულება, მე ვერას შევძლებდი.**

**მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ოჯახს, მეგობრებს, ამ დიდებული საეკლესიო კომპლექსის მშენებლობაში მონაწილე ადამიანებს, ვინც დღე და ღამე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. მინდა უდიდესი მადლობა შევწირო ჩვენს დიდ ღმერთს ასეთი ბედნიერი დღე რომ გამითენა. მადლობა უფალო, რომ ამ დღეს მოგვასწარი,“–თქვა ბატონმა გოდერძიმ.**

**დღის შთაბეჭდილებებით, ემოციებით დატვირთული, უდიდესი მადლით მოსილი მომდევნო დღეზე ვფიქრობდი, პატრიარქი ხომ ხობში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა, რომ მისი ნახვის მადლი ჩვენს დედა ტაძარში, ჩვენს ისტორიულ საუნჯეში კვლავაც გვექნებოდა. და აი, ეს ნანატრი დილაც გათენდა. ხობის მონასტერი მრევლს**

5

ღვთის შიში ქრება სულიერების მაღალ საფეხურზე და იგი იცვლება სიყვარულითა და ქრისტესთან ერთობით გამოწვეული ნეტარებით, ანუ იმ მდგომარეობით, რაც ჰქონდა ადამს ცოდვით დაცემამდე.

ასეთი ადამიანი მოყვასს აღიქვამს როგორც საკუთარ თავს და საკუთარ თავს კი ჩრდილში აყენებს. იგი კეთილგანწყობილია ახლობელთა და შორებელთა, ნაცნობთა და უცნობთა, მდიდართა და ღარიბთა, მოკეთეთა და მოძულეთა მიმართ.

ღირსეულნი და სათნონი, რა თქმა უნდა, მათი თვისებების გამო უყვარს, ცოდვილნი კი იმიტომ, რომ არასწორი ქცევით თვითონვე სჯიან საკუთარ თავს და სულს ჯოჯოხეთისთვის იმეტებენ. ამიტომაც შესაბრალისნი არიან და ლოცვით შეწევნას საჭიროებენ.

*საალდგომო ეპისტოლედან*



მთავარი სწორედ განწყობის შექმნაა.

განწყობის თეორია კარგად უნდა შევისწავლოთ და დავნერგოთ ჩვენს ცხოვრებაში. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის აღმშენებლობისათვის.

განწყობა უნდა შეიქმნას, მაგალითად, სოფლის აღორძინებისათვის, ასევე საზღვრისპირა და მთის რეგიონების განაშენიანებისათვის. რა თქმა უნდა, სათანადო ინვესტიციების მოძიებაც აუცილებელია, მაგრამ მონდომებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

განწყობა უნდა შეიქმნას განათლების სისტემის აღორძინებისათვის, ახალგაზრდებში წიგნის კითხვის მოთხოვნილების გაძლიერებისთვის, ღრმა აზროვნების დანერგვისათვის, მეცნიერების წინსვლისათვის, სამართალდამცავი სტრუქტურებისა და ჯარის განმტკიცებისათვის, ქვეყნის ინტერესებისა და ეროვნული იდეოლოგიის დაცვისათვის...

*საალდგომო ეპისტოლედან*



4 <<<<<<

ვერ იტევდა. მამა ილია დიდი სტუმრის დასახვედრად ემზადებოდა. გაისმა ზარების ხმა, რაც დიდი დღესასწაულის დასაწყისს ნიშნავდა, პატრიარქი კვლავაც ჩვენსკენ მობრძანდებოდა. მასთან ერთად იყო ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი, სამღვდელოების პირები, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ ბენიძე და გამგეობის წევრები.

ტაძრის კარებთან პატრიარქს დეკანოზი მამა ილია ლომაია შეეგება. ტაძარში სიჩუმემ დაისადგურა, პატრიარქი მრევლს მიმართავდა:

**„კიდევ ერთხელ ყველას ერთად გულითადად მოგესალმებით ამ დიდებულ დღეს აღდგომის შვიდეულში და შევთხოვ უფალს, რომ ძალი ესე თვისა მოსცეს და აკურთხოს ერი თვისი, მშვიდობა და კურთხევა, ურთიერთპატივისცემა, სიყვარული მოგმადლოთ უფალმა. დალოცვილნი და გახარებულნი იყავით თქვენ და სრულიად საქართველო, ამინ!“**

ხობისა და ფოთის მიტროპოლიტი გრიგოლი:

**„საქართველოს ნებისმიერ კუთხეში თქვენი მობრძანება შეუდარებელი ზეიმია. ვხარობთ იმიტომ, რომ ეს ადგილი, სადაც თქვენ ბრძანდებით, ბევრ სიხარულს იტევს თავის მეხსიერებაში და ბევრ ტკივილსაც. განსაკუთრებულია ეს მიწა იმითაც, რომ სწორედ აქ ინახებოდა ჩვენი კულტურული და სულიერი საგანძური, რომელიც შემდგომ კომუნისტების პერიოდში გადაბრძანებულიქნა მუზეუმებში. აქ არის დადიანების საგვარეულო აკლდამა, სადაც განისვენებს წმინდა ცოტნე აღმსარებელი, ეს განსაკუთრებული პატივია თითოეული ჩვენთაგანისათვის. დღეს ზეციური კურთხევა და ნიშანია თქვენი აქ მობრძანება, ნიშანი დიდი დალოცვისა, ნიშანი ხვალინდელი დღისა, ნიშანი სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებისა, ნიშანი სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებისა. თქვენი ჩამობრძანება დაკავშირებულია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან, და ეს დღესასწაული არის ერთგვარი შემზადება იმ დიდი სიხარულისა, როდესაც ფოთის ტაძარს აკურთხებთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ. ღმერთმა თქვენი თავი უდღეგრძელოს სრულიად საქართველოს, სამოციქულო ეკლესიას, რამეთუ თითოეული ადამიანის წარმოდგენაში თქვენ ხართ სიმბოლო საქართველოსი და ქართველთა ერთიანობისა. ღმერთმა მრავალჟამიერ ჰყოს თქვენი დღეგრძელობა. უმრავლოს სრულიად საქართველოს ასეთი ბედნიერი დღეები. მრავალჟამიერ თქვენს მეუფებას, მრავალჟამიერ თქვენს პატრიარქობას ჩვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ.“**

საქართველოს პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ მამა ილია ლომაია მიტრიის ტარების უფლებით დააჯილდოვა, მონასტერში მოღვაწე იღუმენია ანას კი გაბრწყინებული ჯვრის ტარების უფლება მისცა.

ასე დაასრულა პატრიარქმა თავისი ვიზიტი ხობში. და გზა ფოთისაკენ განაგრძო, სადაც მან ფოთის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა აღავლინა.

დიდება უფალს ამ ბედნიერი დღისათვის, ღმერთმა მრავალჟამიერ გვიმყოფოს ჩვენი პატრიარქი სრულიად საქართველოს წინამძღვრად.

**ნინო გერგაია**

# „მრავალჟამიერ თქვენს პატრიარქობას, ჩვენო უწმინდესობავ!“

მე ადრეც შევეხე ამ თემას, მაგრამ კვლავ მინდა მასზე ყურადღების გამახვილება.

ბოროტმოქმედის სიჯვილით დასჯა მრავალ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, აკრძალულია და ეს კარგია, რათა ადამიანს მიეცეს ცოდვის გამოსყიდვის შესაძლებლობა. (მათ მიმართ ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება პიროვნების გამოსწორებისათვის).

აბორტი კი არის მშობლების გადაწყვეტილებითა და მონდომებით სრულიად უსუსური, უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა. ამ მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა ექიმიც.

დღემდე დაუბრკოლებლად ხორციელდება ჩვილების ეს უმოწყალო ხოცვა და მათ აქტიური დამცველი არავინ ჰყავთ, - არც სახელმწიფო და არც საზოგადოება.

*საალდგომო ეპისტოლედან*

მაშინ გავემიჯნებით საყოველთაოდ გაბატონებულ ეგოცენტრიზმს, - თავისმოყვარეობას, - და აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი მთავარი მტერი სწორედ ეგოიზმია, სხვისთვის სიყვარულით აღსრულებული მსახურება კი - ჩვენი გადამრჩენელი. აღმოვაჩენთ, რომ ღმერთის სიყვარული განუყოფელია მოყვასის სიყვარულისგან და ერთი მეორეს განაპირობებს.

*საალდგომო ეპისტოლედან*

ფოტოკოლაჟი











**ინტერვიუ**

# „ყველაფერს გავაკეთებთ მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ“

**10–11 მაისი ხობელებისათვის სულის ზეიმის დღეები იყო...**

**ხობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სტუმრობდა...**

**ხალხმრავლობით გამორჩეულ ქალაქს საქართველოს პარლამენტში ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ გოდერძი ბუკიას მოწვევით სტუმრობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი დავით უსუფაშვილი, უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები, მთავრობის წევრები, მინისტრები, ბიზნესმენები, სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლები. მაღალი რანგის სტუმართა მოლოდინში ღელავდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ქარდავა და მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი კახაბერ ბენიძე. მეც ვისარგებლე შემთხვევით და გავესაუბრე ბატონ კახაბერ ბენიძეს**



***ბატონო კახაბერ, თქვენი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად არჩევის შემდეგ, ხობს ასეთი მაღალი რანგის სტუმარი, მით უმეტეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე არ ჰყოლია. რა განცდა დაგიტოვათ ამ „მღელვარე“ დღეებმა?***

–გულახდილად გეტყვით, პატრიარქის ჩამობრძანებამდე მქონდა საოცარი განცდა, ვღელავდი, იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოში ისტორიული მასშტაბის ფიგურა ჩამოდიოდა. პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ერს, საქართველოს კეთილდღეობას. მისი ყოველი რჩევა, მუდმივად იყო ქვეყნისთვის, ერისთვის საკეთილდღეოდ. ვუჯერებდით–ქვეყანა ნორმალურად ვითარდებოდა, ხალხი უკეთეს მდგომარეობაში იყო, არ ვუჯერებდით და სასჯელიც არ აყოვნებდა. ბოლო პერიოდში მისი როლი განსაკუთრებით თვალნათლივი იყო. ფაქტიურად განგებამ გალესილ დანის პირზე გვატარა და ბოლოს სამშვიდობოზე გამოგვიყვანა. ამაში მას ლომის წილი მიუძღვის. რაც შეეხება ვიზიტს, ორი დღე იმყოფებოდა ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში. ამაზე დიდ საჩუქარს ხობელებს ვერავინ გაუკეთებდა. მე თვალნათლივ დავინახე, როგორ უყვარს იგი ხალხს, რა სუფთა, ნაღდი სიყვარულით და როგორ უყვარს მას ხალხი. მქონდა ბედნიერების განცდა, რადგან მომეცა შესაძლებლობა უფრო ახლოს ვყოფილიყავი მასთან.

***სხვა სტუმრებიც ხომ იყვნენ?***

–დიახ, პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი დავით უსუფაშვილი და პარლამენტის წევრები. მე და საკრებულოს თავმჯდომარე ხობის მაჟორიტარ დეპუტატთან ბატონ გოდერძი ბუკიასთან შევხვდით მას, ვესაუბრეთ. ძალიან გახსნილი, უშუალო ადამიანია. თითქმის ყველა საკითხი ჩავიარეთ, რაც მუნიციპალიტეტს ეხებოდა. გამიკვირდა, ისე დეტალურად იცოდა ბევრი რამ, ჩვენს პრობლემებზე. მასთან შეხვედრის შემდეგ პრობლემების გადაწყვეტაში მისი მხარდაჭერის იმედი დაგვრჩა.

***ბატონო კახაბერ, უკვე 8 თვე გავიდა, რაც ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. გამონაკლისი არც ხობის მუნიციპალიტეტია, როგორ შეაფასებთ განვლილ პერიოდს, რთულია ხელმძღვანელის მისია თუ საკეთებელი საქმე გარედან უფრო ადვილად ჩანს?***

–ექვსი თვეა, რაც მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას ვასრულებ. გეთანხმებით, „გარედან“ მართლა ყველაფერი იოლად გეჩვენება. ეს პერიოდი (ბოლო 6 თვე) ჩემთვის იყო ურთულესი. მახსოვს პირველი თვე, როცა გამგებლის მოვალეობის შესრულება დამეკისრა, ვიგრძენი, როგორ დამაწვა მხრებზე უმძიმესი ტვირთი. პირველი პრობლემა, რასაც წავაწყდი იყო ის, რომ სამსახურებიდან მოდიოდა ზღვა ინფორმაცია, რომელსაც ჭირდებოდა ანალიზი, გარკვევა, გადამოწმება და ა.შ. რაც არ იყო მარტივი. შემდეგ დადგა კონკრეტული რთული გადაწყვეტილებების მიღების დრო. შესაძლებლობის ფარგლებში შევეცადეთ გადაწყვეტილებები, რაც სხვისთვის მტკივნეული იყო, შედარებით ნაკლებ მტკივნეულად განგვეხორციელებინა და ეს ჩვენ მოვახერხეთ.

***მაინც როგორი იყო ეს პერიოდი სხვადასხვა დარგებში?***

–გეტყვით, რომ ეს ექვსი თვე ჩვენმა გუნდმა ძალიან პროდუქტიულად იმუშავა. მე კმაყოფილი ვარ იმ ადამიანებთან მუშაობით, ვინც მოვიყვანე. მოადგილეები **ბადრი ჯობავა**, **მახარე ჩოკორაია** და **როსტომ კილასონია** ახალგაზრდები არიან და სხვა თანამშრომლებთან ერთად მაღალი პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობით და დაკისრებული მოვალეობის უზადო და მონდომებული შესრულებით აკეთებენ საქმეს, რომელიც მუნიციპალიტეტის პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება.

***გამგებლის მოადგილეების კანდიდატები თქვენი არჩევანი იყო?***

–დიახ, ჩემი და საკრებულოს თავმჯდომარის, ასეა კანონმდებლობით და ჩვენც ასე ვიქცევით, ერთობლივად შევარჩიეთ კადრები.

***ე.ი. თქვენმა არჩევანმა გაგიმართლათ?***

–ამ ეტაპზე, როგორც გითხარით, კმაყოფილი ვარ. პროფესიონალები არიან, გვერდში მიდგანან და მაქსიმალურად მეხმარებიან. მე მათ ვენდობი და ვეყრდნობი. დიდ საქმეებს შევეჭიდეთ. დავკონკრეტდები და გეტყვით: მალე 7 დიდი პროექტი დაიწყება, პირველ რიგში, ხეთასა და თორსაში 900 ოჯახზე გაკეთდება წყალსადენი. პროექტზე დაახლოებით შვიდასი ათასი ლარი დაიხარჯება.

ქალაქში საცხოვრებელი ბინების მიმდებარე ტერიტორიაზე (უკანა მხარე) კეთილმოეწყობა საკანალიზაციო სისტემით, დაიგება ქვაფენილი, ისევე როგორც წინა მხარესაა.

ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია მოასფალტდება, გაიწმინდება სკვერი და დაიგება ქვაფენილი.

ქალაქის ცენტრის ტერიტორიაზე, დაახლოებით ახალ სასტუმრომდე დაიგება ქვაფენილი–სანიაღვრეებით. ძალიან ლამაზი პროექტია. მარტო ამ ორ პროექტზე დაახლოებით მილიონი ლარი დაიხარჯება. უნდა აღინიშნოს, რომ მას ცენტრალური ბიუჯეტი (ხელისუფლება) აფინანსებს.

დიდი სურვილი გვქონდა გაგვეკეთებინა სპორტული დარბაზი, რომლის უქონლობა პრობლემებს გვიქმნის.

***არადა წარმატებული სპორტსმენები გვყავს.***

დიახ. ისინი ამას იმსახურებენ. ამ პროექტს ჩვენ ვამუშავებდით, მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან ძვირი ჯდება და ამ ეტაპზე ამის თანხა ვერ მოვიძიეთ. არა მარტო სპორტული დარბაზი, არამედ სურვილი გვაქვს უფრო დიდი პროექტის განხორციელების, არის იმედები და გპირდებით, თუკი დადებითად გადაწყდება, პირველად თქვენი გაზეთით ვამცნობთ საზოგადოებას.

***რას იტყვით სოფლის მეურნეობის უდიდეს პროგრამაზე, რამაც ხალხს იმედი გაუჩინა, რომ დღევანდელი ხელისუფლება მზრუნველობას არ მოაკლებს. ცხოვრებას ნაბიჯ–ნაბიჯ უკეთესობისაკენ შეცვლის. როგორ ფიქრობთ, აგროვადებში მოესწრება ეს პროექტები?***

–რა თქმა უნდა, თავისთავად ეს უდიდესი საქმეა. სახელმწიფო დიდ თანხას ხარჯავს იმისათვის, რომ გლეხს მიწა მოუხნავი არ დაურჩეს. მაგრამ ეს წელს პირველად ხდება და როგორც ყველა ახალდაწყებულ საქმეს, თან ახლავს ობიექტური თუ სუბიექტური სირთულეები, მაგრამ ყველაფერი მართვადია და ვეცდებით, რაც შეიძლება მალე დავასრულოთ ეს პროცესები.

მუნიციპალიტეტში დასახნავი 8500 ჰექტარიდან მოხნულია შვიდასი ათასი ჰექტარი. ამ ინტერვიუს გამოქვეყნების დროს, ალბათ, დამთავრებულიც იქნება. მთავარი პრობლემა გვაქვს ქალაქში, სადაც ჯერ არ არის დარიგებული სასოფლო–სამეურნეო ბარათები. ასეთი შემთხვევები სოფლებშიცაა, მაგრამ რწმუნებულებმა მეტ–ნაკლებად უკვე მოაგვარეს ეს პრობლემა. პარლამენტარი ბატონი გიგა ბუკია ამ დღეებში შეხვდა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ დავით შერვაშიძეს და ბარათები, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში უნდა ჩამოვიდეს. ე.ი ხალხის ნაწილია კმაყოფილი (ვისაც მიწა მოხნული აქვს).

ტექნიკაც არ არის საკმარისი, გუთნები ვერ უძლებს წლობით მოუხნავ მიწებს, მით უფრო, კერძო სექტორის ტექნიკა ტყდება, მიწაც დაგვალულია...

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სოფელში გაფხვიერება და თესვაც დაწყებულია.

***ალბათ ზედა ზონაში.***

–დიახ, მაგალითად ხიბულაში. ამჟამად ტექნიკა მასობრივად მუშაობს ქარიატაში, ყულევში, პატარა ფოთსა და შავღელეში, ხეთასა და ხამისქურში, მაგრამ აქაც ეზოების დამუშავებაში პრობლემებია, რადგან ზოგან ტექნიკა ვერ შედის.

***და მაინც ფიქრობთ, რომ აგროვადებში ჩაეტევით?***

–აუცილებლად ჩავეტევით. მომავალ წელს კი მჯერა უფრო ორგანიზებულად ვიშრომებთ, ტექნიკაც მეტი გვეყოლება, შეპირებები გვაქვს, თუმცა წელსაც, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, გავაკეთეთ. მალე, ალბათ ბარათებსაც მივიღებთ.

***ბატონო კახაბერ, თქვენ ბატონი გიგა ბუკია ახსენეთ, ხობს პარლამენტში უკვე მეოთხედ ყავს მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი გოდერძი ბუკია. რა ურთიერთობები გაქვთ მათთან პრობლემების გადაჭრაში?***

–ყოველდღიური კონტაქტი მაქვს ბატონ გიგა ბუკიასთან, თავადაც დაინტერესებულია მუნიციპალიტეტის პრობლემებით და რა თქმა უნდა, ძალიან გვეხმარება.

ბატონ გოდერძი ბუკიას, რაც შეეხება, მას ახლახან შევხვდი, როცა პირველ მაისში თავისივე აშენებული ეკლესიის მონახულებისას მასპინძლობდა პატრიარქს და პარლამენტის თავმჯდომარეს. ძალიან ახლო, თბილი და საინტერესო ურთიერთობები დავამყარეთ. იმედია, ამიერიდან დავალაგებთ ურთიერთობებს და ყველაფერს მოვახმართ მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას.

***ბატონო კახაბერ, რას ნიშნავს თქვენთვის თარიღი 26 მაისი?***

»»» 7

ი ნ ტ ე რ ვ ი უ

# „ყველაფერს გავაკეთებთ მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ“

6 <<<<<<<<

–როგორც ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის 26 მაისი ჩემთვისაც დღესასწაულია, იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა, ბავშვობიდანვე ეს თარიღი უმნიშვნელოვანესი იყო ჩემთვის და სამშობლოს ერთგულებასთან, მისთვის თავგანწირვასთან და უდიდეს სიყვარულთან ასოცირდებოდა. მიხარია, რომ ქართველი ვარ...

***თქვენი ე.წ სავიზიტო ბარათი თქვენი ღირსეული მამის შვილობაა, სულნათელი კუკურის შვილიაო, ხშირად ასე აცნობენ თქვენს პიროვნებას უცნობებს, როცა თქვენს დადებით თვისებებზე საუბრობენ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, წლების შემდეგ ასე რომ მოიხსენიონ?***

–საბედნიეროდ, მე ბავშვობიდანვე ამ სიყვარულს ვგრძნობდი. მამაჩემი ექიმი იყო. თითქმის მოვლილი ჰქონდა მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახი და უანგაროდ ეხმარებოდა თავისი პროფესიით (და არა მარტო) ხალხი არაფერს ივიწყებს, ამდენად ახსოვთ და უყვართ მის თაობებს, რაც ძალიან მსიამოვნებს. ნათქვამია: „ის ურჩევნია მამულსა“... მე ამის პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ვაჟი მეზრდება და უნდა ვეცადო, მასაც არ მოვაკლო ეს სიამოვნება. ზოგადად ადამიანმა დიდი სიყვარული რომ დაიმსახუროს, უნდა იყოს საქმის პროფესიონალი, უყვარდეს სამშობლო, თავისი ოჯახი, მეგობრები, თითოეული ხობელი.

***„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამაზე რას გვეტყვით?***

–წელს ხობის მუნიციპალიტეტს ხელისუფლებამ ამ პროექტის განსახორციელებლად 880 ათასი ლარი გამოყო. ჯამში ეს არის 79 პროექტი, რაც მოსახლეობამ აირჩია. სოფლის მოსახლეობამ კრების გადაწყვეტილებები მოგვაწოდა. ეს პროექტები მალე დაიწყება.

***განხორციელების შესაძლებლობა რომ გქონდეთ, თქვენ რომელ პროექტს დაიწყებდით?***

–არა მარტო მე, არამედ მთელი გუნდის ნაფიქრალია ხობში აღვადგინოთ სპორტული კომპლექსში. საკმაოდ ძვირადღირებული პროექტია. ამის თანხები არ გვაქვს და ვეცდებით მოვიძიოთ.

როგორც ევროპელებმა გათვალეს სპორტში და ახალგაზრდობაში ჩადებული თანხა 50 წლის შემდეგ გვიბრუნდება და ჯანმრთელობაში იძლევა შედეგს. მე ბავშვობაში საცურაო კომპლექსში დავდიოდი. ახლა სამწუხაროდ, ჩვენი ბავშვები მდინარეზე სწავლობენ ცურვას.

***როგორი ურთიერთობა გაქვთ საკრებულოსთან?***

–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, თანამებრძოლები ვიყავით, მხარში ვუდგავართ ერთმანეთს. ასე, რომ საქმიანი და ადამიანური ურთიერთობები გვაკავშირებს.

***როგორია თქვენი ცხოვრების კრედო?***

–განსაკუთრებული არაფერი, ვიცხოვრო სუფთად, ვაკეთო ჩემი საქმე, რაც მაბარია, ვიყო კარგი ქართველი, რაკი მუდმივად აქ არაფერია და ასე თუ ისე, როცა ჩემი წასვლის დროც მოვა, დავტოვო კარგი კაცის სახელი.

***მიმტევებელი ხართ?***

–დიახ!

***მაინც რას არ პატიობთ ადამიანს?***

–თუ პატიებაზე მიდგა საქმე, შეიძლება ყველაფერი ვაპატიო, რაც არ შელახავს ქართველი კაცის ღირსებას.

***ჩვენს გაზეთზე რას გვეტყვით?***

–ძალიან კარგია, რომ ეს გაზეთი არსებობს. როგორც ვიცი, რაიონის მოსახლეობა კითხულობს და ყველა ასაკის ადამიანისთვის საინტერესოა. „ხობის მოამბე“ ბეჭდვური ინფორმაციის ერთადერთი წყაროა, რაკი ჩვენ ადგილობრივი სხვა საინფორმაციო საშუალება (თუ არ ვიგულისხმებთ მუნიციპალიტეტის ვებგვერდს) არ გაგვაჩნია. მისასალმებელია, რომ ბოლო დროს დაიხვეწა, იბეჭდება განსხვავებული აზრი.

***სურვილი, რომელიც დღემდე ვერ აისრულეთ?***

–ძალიან ბევრი, ყველაფერს ვერ აისრულებს ადამიანი, მაგრამ იმედი მაქვს ბევრ რამეს ავისრულებ. როგორც იტყვიან, ცხოვრება ჯერ წინ არის.

***ესაუბრა მერი ლაგვილავა.***

*P.S. გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავიგეთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1291 პრობლემური სასოფლო-სამეურნეო ბარათი შესწორებული სახით დაუბრუნა მუნიციპალიტეტს და შესაბამისად ბარათების დარიგება განახლდა.*

# გამარჯვების ზეიმი ხეთაში

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. წალკოტად ქცეული ოდითგან იყო მავანთა და მავანთა ინტერესის საგანი. სწორედ ამიტომ იყო ქართველი დღენიადაგ ქარქაშში ხმალჩაუგებელი, სწორედ ამიტომ ეკავა ცალ ხელში სახნისი, მეორეში კი იარაღი, სწორედ ამიტომ რეკდა ხშირად განგაშის ზარი საქართველოს ცის ქვეშ... რეკდა და ქუდზე კაცს უხმობდა სამშობლოს სადარაჯოზე.

...და ასე იყო, 1941 წლის 22 ივნისს. კიდევ ერთმა საბედისწერო ზარმა ჩამოჰკრა... ამჟამად ფაშისტური გერმანია მოიწევდა. მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი ომი იყო კაცობრიობის ისტორიაში. ქართველები კი ფრონტის ხაზზეც გამოირჩეოდნენ. ამ ომმა ბევრი ქართველი გმირად აქცია, ძალიან ბევრმა სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა...

...ხეთის დიდების მუზეუმი... 2013 წლის 9 მაისი, 11 საათი... ფაშიზმზე გამარჯვების 68–ე წელთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით ღონისძიება გაიმართა, რომელიც მარინე ჯღარკავას მიჰყავდა. ღონისძიებაზე ანსამბლ „კოლხეთმა“ რამოდენიმე მრავალხმიანი სიმღერა შეასრულა, რეჟისორმა რამაზ ლოლუამ კი გიორგი ლეონიძის ლექსი „ღიმილის ბიჭი“ წაიკითხა.

ცერემონიალს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ომის ვეტერანები და მოწვეული სტუმრები დაღუპულთა სიმბოლური საფლავებისკენ გაემართნენ, დაანთეს წმინდა სანთლები და პატივი მიაგეს იმ ადამიანთა ხსოვნას, ვინც ომის წლებში დაიღუპნენ. 9 მაისს შეკრებილ საზოგადოებას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, ვეტერანებმა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე მებრძოლთა თავდადებასა და ფაშიზმთან ბრძოლაში საქართველოს მიერ შეტანილ წვლილზე ისაუბრეს.

**მამუკა ქარდავა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:** 1945 წლის 9 მაისი არის მსოფლიოში ფაშიზმზე გამარჯვების დღე. ყველას გილოცავთ ამ ამაღელვებელ დღეს! ამ უთანასწორო ომში მსოფლიოში 60 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა, აქედან 20 მილიონი მშვიდობიანი მოსახლე გახლდათ. მეორე მსოფლიო ომში დიდი წვლილი გაიღო პატარა საქართველომ. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ბევრი ადამიანი იბრძოდა ქვეყნის დასაცავად, აქედან უმრავლესობა შინ ველარ დაბრუნდა...

ჩემო ომგადახდილებო, თქვენ იბრძოდით ჩვენი ნათელი მომავლისათვის, ჩვენი კეთილდღეობისათვის. ჩვენი ვალია, ჩვენ, თქვენმა შთამომავლობამ, ეს გმირობა დაგიფასოთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დღეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და მრავალი წლის სიცოცხლეს გისურვებთ, იხარეთ და იბედნიერეთ!



**–კახაბერ ბენიძე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი:** ძვირფასო ვეტერანებო! თქვენ რომ გიყურებთ, არ დაგიმალავთ და გულში ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები მაქვს. თქვენი თვალებით მე ახლა ჩემი ბაბუები მიყურებენ, ჩემი ორივე ბაბუა ამ ომში იბრძოდა, დღეს, სამწუხაროდ, ორივე გარდაცვლილია. თქვენი თვალებით მიყურებს ყველა ჩემი წინაპარი, ვისაც კი უბრძოლია საქართველოსთვის, თქვენი თვალებით მიყურებს ყველა ის პირტიტველა ბიჭი, ვინც 21-23 წლისანი წავიდნენ ომში და შინ ველარ დაბრუნდნენ, ან ვინც დაბრუნდა, ახლა ჩვენს გვერდით აღარ არიან. პატივი მივაგოთ მათ სულებს...





ყველაზე მეტი სისხლი ორმა ერმა–ქართველებმა და ებრაელებმა გაიღეს. ქართველებმა არამარტო მეომრების სახით, არამედ მხედართმთავრის სახით მსოფლიოს მივეცით უდიდესი მაგალითი. მეორე მსოფლიო ომი იყო მსოფლიო დონის კატასტროფა, აპოკალიფსი, მაგრამ მოხერხდა ფაშისტების საბოლოო დამარცხება.

ძვირფასო ომაგადახდილებო! კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ყოჩაღად ყოფნა გისურვოთ. თქვენს გვერდზე მიგულეთ!

**გოდერძი ბუკია, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ხობის რაიონიდან:** დღეს განსაკუთრებული დღეა ქართველი ერისთვის. 9 მაისი დიდი გამარჯვების ზეიმია. ომგადახდილებო, ძვირფასო თანამემამულებო, თქვენი ნახვა ყოველთვის მთელი გულით მიხარია, სამწუხაროდ, თქვენი თანამებრძოლების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება, რაც ძალზე დასანანია. თქვენ ქვეყნისთვის რაც გააკეთეთ, ეს სიმამაცეა, ღმერთმა დაგვიფაროს რაიმე საფრთხის წინაშე მოგვიწიოს ისევ ყოფნამ. ჩვენ გამოვიარეთ 8 აგვისტოს ომი, საქართველო იდგა საფრთხის წინაშე, ქართველები ყველანაირად ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის დაცვას, მაგრამ ეს მაინც არ იყო ის, რაც თქვენ გადაიტანეთ... იყავით დღეგრძელები. გილოცავთ კიდევ ერთ 9 მაისს!

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ომის ვეტერანებს საკუთარ ანგარიშებზე 100–100 ლარი ჩაურიცხეს, ხოლო ყულევის ტერმინალის ხელმძღვანელობამ ისინი 50–50 ლარით დაასაჩუქრა.

სიტყვით გამოვიდა და ომის ქარცეცხლიანი დღეები გაიხსენა საქართველოს ვეტერანთა ხობის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ცხადაიამ და თბილი შეხვედრისთვის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა.

ღონისძიების ბოლოს, ომის ვეტერანები მათთვის განკუთვნილ სადილზე მიიწვიეს.

ზეიმი დასრულდა. ომის ვეტერანებმა მომავლის რწმენით, მოლოცვებითა და საუკეთესო სურვილებით კმაყოფილებმა დატოვეს შეხვედრა.

კიდევ მრავალ წელიწადს, ომის ვეტერანებო!

**ნანა კემულარია**

## ახალი კადრები



შავღელე სოფლის სტატუსის მატარებელი სულ რამდენიმე წლის წინათ –2011 წელს გახდა. „21 საუკუნის 21–ე სოფელი ჩვენს მუნიციპალიტეტში“ ასე დაახასიათეს იგი შექმნის დღიდანვე.

შავღელეს ახლა ახალი ხელმძღვანელი ბატონი **ნუგზარ ჭაღალიძე** ჰყავს, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია.

# „ეს მომავლის გეგმებია- ჩვენი ხვალინდელი დღე!“

***ბატონო ნუგზარ, დაახასიათეთ თქვენი სოფელი, ისაუბრეთ თუ როდის, როგორ შეიქმნა იგი, ვინ ცხოვრობს, რა ფუნქციონირებს და საერთოდ, ყველაფერი შავღელეზე და მთავარი, ხალხის საკეთილდღეოდ თქვენი საქმიანობა რითი დაიწყო?***

–სოფელს თავისებური ისტორია აქვს. იგი შედიოდა პატარა ფოთის მეურნეობის შემადგენლობაში და ძირითადად დასახლებული იყო აჭარის ზემომთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებული ხალხით. ეს 1989 წელი გახლდათ. 65 ოჯახს საცხოვრებლად მთავრობის მიერ აშენებული სახლები გადაეცათ. დღეისთვის მუდმივ მაცხოვრებელთა რიცხვი 200 კომლს შეადგენს, მაგრამ არიან ისეთი ოჯახები, რომელთაც სიდუხჭირის გამო ვერ შეძლეს სახლების აშენება და მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთები გააჩნიათ. ისინი სეზონურად ჩამოდიან აქ და მიწას ამუშავებენ...

2011 წელს შავღელეს სოფლის სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა. სამწუხაროა, რომ სოფელს დღემდე ადმინისტრაციული ცენტრი არ გააჩნია. მხოლოდ და მხოლოდ საჯარო სკოლა ფუნქციონირებს 123 მოსწავლით, 26 პედაგოგითა და ტექნიკური პერსონალით. სოფლის საკეთილდღეოდ ახალი ხელისუფლება ბევრს გვპირდება და იმედია, ოცნება რეალობად იქცევა.

შავღელელებს დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ ხელმძღვანელის ამპლუაში პირველად ვარ. ამჟამად ვცდილობ, ჩემი და თანასოფლელთა ურთიერთობა გახდეს მათი კეთილდღეობის საწინდარი.

***ცოტა რამ თქვენს შესახებ?***

–დავიბადე 1962 წლის 15 ნოემბერს შუახევის სოფელ ელმარდულში. დავამთავრე სულხან–საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. მყავს მეუღლე გუგული ქათამაძე და ორი შვილი. ვაჟი ელიზბარი–თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის VI კურსის სტუდენტია, ქალიშვილი ქეთევანი–აბიტურიენტი. სხვადასხვა დროს მიმუშავნია შუახევის სოფელ ხარათულას საშუალო და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს სკოლებში მასწავლებლად და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

***როგორ დაიწყო სოფლის ხელმძღვანელის პირველი სამუშაო დღე. როგორ მიგიღოთ ხალხმა?***

–ჩემი, როგორც სოფლის ხელმძღვანელის პირველი დღე მოსახლეობასთან შეხვედრით დაიწო. გავეცანი სოფლის ტერიტორიულ საზღვრებს. ვცდილობ, ხალხი კმაყოფილი იყოს, რაც ჩემზეც დადებითად იმოქმედებს. თუ ხალხი კმაყოფილი იქნება, მეც ბედნიერი ვიქნები.

***ამჟამად რითი ხართ დაკავებული. რას გვეტყვით იმ ბარათებზე, რომელიც მთავრობამ ხალხს დაურიგა, რათა დაეხმაროს დოვლათის შექმნაში?***

–ბარათებმა ხალხში კარგი აურა შემოიტანა. დროულად დავარიგეთ და გახარებულები არიან. ნამდვილად კარგი სტიმულია, იგი დიდად განსხვავდება წინა ხელისუფლების 30 ლარიანი ვაუჩერისაგან. ხალხთან ურთიერთობა ჩემი უპირველესი მიზანია, ერთიანი ძალისხმევით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება. მთავრობის ზრუნვამ ხალხი გაახალისა და გამოაცოცხლა. კარგია, როცა შენზე ზრუნავენ. თანასოფლელებმა ველ–მინდვრები მოაწესრიგეს, დაასუფთავეს და სავარგულები ხვნისთვის მოამზადეს. აპრილის ბოლოს ხვნა დაიწყო, რომ არა გვალვიანი ამინდები სამუშაოები ალბათ ბოლომდე დასრულებული იქნებოდა. ადგილზე სამი ბელორუსის მარკის ტრაქტორი გვყავს, ისინი მოძველებულია. დაგვეხმარა აბაშის ბრიგადა.

***გარდა ამ საუკეთესო საჩუქრისა (ბარათებს ვგულისხმობ), კიდევ რა გაკეთდება სოფელში, რათა მათი საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდეს, ე.ი. რას ითვალისწინებს სოფლის პროგრამა. რა გადაწყვიტეთ თანასოფლელებთან ერთად?***

–სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 25581 ლარი გამოგვეყო. მოსახლეობასთან და ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩატარდა კრება, სადაც ამ საკითხის გარშემო იყო სჯა–ბაასი, იმაზე, თუ რა გაკეთებულიყო ამ თანხით, მიღწეულიქნა კონსესუსი და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხით გადაწყდა აშენდეს საბავშვო ბაღის შენობა, რაც მეტად საჭიროა.

***ეს მოკლევადიანი გეგმებია. არსებობს გრძელვადიანი გეგმა, რომელიც სოფლის იერ–სახეს შეცვლას გულისხმობს. რას გპირდებათ მომავალი?***

–გრძელვადიანი გეგმებით ვაპირებთ სოფლის შიდა და შემოსასვლელი გზების რეაბილიტაციას. იგეგმება წყლის სისტემის ინდივიდუალური გამრიცხველიანება და სადრენაჟე სისტემის გაწმენდა.

***სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია საკმარისი სახნავ–სათესი ფართობებით. მაინტერესებს, სოფელში არის ასათვისებელი ფართობები, რითაც სოფლის მასშტაბები გაიზრდება?***

–სოფელს გააჩნია საკმარისი სახნავ–სათესი სავარგულები. არსებობს რეზერვიც, რითაც შეიძლება საჭიროების შემთხვევაში სოფლის ტერიტორია გაიზარდოს.

***ბატონო ნუგზარ, იქნებ თქვენ გაქვთ რაიმე სათქმელი, რაც თქვენს სურვილს, გულისტკივილს ან სამომავლო გეგმებს გამოხატავს. ამავდროულად იგი ზემდგომი ინსტანციების თანადგომასა და მხარდაჭერას მოითხოვს?***

–მადლობელი ვარ ჩვენი ქვეყნის ახალი მთავრობის მეთაურის პრემიერ–მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სოფლის მოსახლეობაზე ზრუნვისათვის და დახმარებისთვის, ასევე ვემადლიერებით ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, საკრებულოს თავმჯდომარეს– ბატონ **მამუკა ქარდავასა** და გამგებელის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ **კახაბერ ბენიძეს,** რომ მათი იმედით, მხარდაჭერითა და თანადგომით ჩვენს სოფელს ექნება ადმინისტრაციული სახლი, ამბულატორია და შეიქმნება სოფლის ცენტრი. ეს ხალხზე ზრუნვის ერთ–ერთი გამორჩეული მხარდაჭერა იქნება.

***როგორც სოფლის თავკაცი, რას ეტყოდით თანასოფლელებს და რას უსურვებდით მათ?***

–თანასოფლელებს ვუსურვებ უფლის მფარველობას, ჯანმრთელობას, ეკონომიკურ აღმასვლას და გამთლიანებულ, აღორძინებულ საქართველოში ცხოვრებას.

ჩვენი შრომით, ერთგულებითა და თანადგომით ჩვენს წვლილს შევიტანთ საერთო საქმის კეთებაში, ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში.

***ესაუბრა ნანი კილასონია.***

# მელიორაცია კვლავ ხალხის სამსახურშია

წლების განმავლობაში პრიორიტეტული დარგი–მელიორაცია, რამდენიმე წელია მივიწყებას მიეცა. ცნობილი და დამსახურებული მელიორატორები თითქოს ბედს შეურიგდნენ, არსებულ ტექნიკასაც გამოუჩნდა „პატრონი“. ამასობაში დრო გავიდა და სამელიორაციო სამუშაოების შეუსრულებლობამ თავისი კვალი დაატყო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს...

მიმდინარე წლის გაზაფხულიდან კვლავ გამოჩნდა ტექნიკა. მუნიციპალიტეტის თემებსა და ზოგიერთ სოფლებში დაიწყო არხების ამოწმენდა, რამაც მოსახლეობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ დასავლეთ საქართველოს საექსპლოატაციო, სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სამმართველოს უფროსს ბატონ ილარიონ გეგუჩაძეს და რამდენიმე შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ.

***ბატონო ილარიონ! სასიამოვნოა იმის განცდა, რომ ხობში ფუნქციონირებს დასავლეთ საქართველოს საექპლოატაციო სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სამმართველოს ცენტრი, რამ განაპირობა ეს, ტრადიციამ, შენარჩუნებულმა ბაზამ თუ შესასრულებელ სამუშაოთა სიმრავლემ?***

–სოფლის მეურნეობის სრული აღორძინებისათვის პირველ რიგში აუცილებელია სახნავ–სათესი სავარგულების წესრიგში მოყვანა, მისი სრული რეაბილიტაცია. ამ მიზნით მიმდინარე წლის დასაწყისში მოხდა სისტემის სრული რეორგანიზაცია, შეიქმნა შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“, რომლის შემადგენლობაში შევიდა დასავლეთ საქართველოს საექსპლოატაციო, სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სამმართველო“, რომლის ცენტრად შერჩეულიქნა ხობის მუნიციპალიტეტი. ხობი, ალბათ, იმიტომ რომ წარმოადგენს კოლხეთის ცენტრს, სადაც შენარჩუნებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.



***რა სამუშაოთა შესრულებაა განსაზღვრული?***

–როგორც ვთქვი, სამმართველო მოემსახურება დასავლეთ საქართველოს, მისი პირდაპირი მოვალეობა დამშრობი და სარწყავი სისტემების სრული რეაბილიტაციაა. ამ დროისათვის სამუშაოები დაწყებულია იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში. ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში პროექტით გათვალისწინებულია 1294 ჰექტარი დამშრობი სისტემების სრული რეაბილიტაცია, კერძოდ: ქვემო ქვალონში–324, შუა ქვალონში–454, პირველ მაისში–76, ახალსოფელში–211, საგვიჩიოში–229 ჰექტარზე.



სამუშაოები დაიწყო აპრილის თვეში. აქვე გეტყვით, რომ ამ პროექტის შესრულება მიმდინარე წელს არ ამოიწურება. არხების წმენდა სამივე სოფელში დამთავრებულია. ამ დღეებში ველოდებით ახალ ტექნიკას, რაც უზრუნველყოფს ორნანტების მოწყობას, ამავდროულად გაკეთდება მილხიდებიც. მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები პირველი მაისის, ხეთისა და თორსა–დღვაბის ტერიტორიებზე.

***თქვენ ძველი ტექნიკის აღდგენით შესძელით სამუშაოს შესრულება?***

–გეგმით გათვალისწინებული დიდი მოცულობის სამუშაოების ჩატარება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო არსებული ძველი ტექნიკით. ამ მიმართულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯები. შემოყვანილია თანამედროვე ტიპის 4 ერთეული ექსკავატორი. მაისის ბოლოსთვის ველოდებით 10 ერთეულს, ხოლო წლის განმავლობაში დაგეგმილია 30 ერთეულამდე სხვადასხვა სახის ტექნიკის შემოყვანა.

რა თქმა უნდა მარტო მატერიალურ–ტექნიკური ბაზა არაა გადამწყვეტი სამმართველოს წინაშე არსებული დავალებების სრულყოფილად შესასრულებლად, მთავარი მაინც სპეციალისტებია. ამ მხრივ ჩვენი სამმართველო გამორჩეულია, რადგანაც ჩემს გვერდით მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. სამმართველოს მთავარი ინჟინერი–**გივი კიკაჩე**იშვილი, ტექნიკური განყოფილების უფროსი–**გია ბუკია**, უფროსი მექანიკოსი–**ვალერი ხუჭუა**, მექნიკოსი–**რევაზ ღვინჯილია**, უბნის უფროსი–**დომენტი კილურაძე**. რაც შეეხება მექანიზატორებს, ისინი მთლიანად იქნენ შენარჩუნებულნი. უფრო მეტიც, რაიონის მკვიდრი რამდენიმე ახალგაზრდა გადის სპეციალურ კურსებს. მათ შორის ორი მომავალი თვიდან ახალ ტექნიკაზე დაიწყებს მუშაობას.

***გაეცანით მკითხველებს, ცოტა რამ თქვენს შესახებ?***

–მე გახლავართ ილარიონ გეგუჩაძე, ამ დარგის სპეციალისტი. წლების განმავლობაში ვიყავი სამტრედიის სამელიორაციო სისტემების სამმართველოს მთავარი ინჟინერი, შემდეგ კი უფროსი. ვარ ცოლშვილიანი და ახალგაზრდა ბაბუა. კარგად ვიცნობ თქვენს რაიონს, რაც საშუალებას მაძლევს დატვირთვით ვიმუშაო. როგორც ხობისთვის, ასევე დასავლეთ საქართველოსთვის.

***ესაუბრა მერი ლაგვილავა.***

# წარმატების ფორმულა ფერმერთათვის

*„თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზოგადოებისა, სიმდიდრისა, არის სოფლის მეურნეობა".*

*ილია ჭავჭავაძე.*

ბერძნებმა უძველეს დროში, ქართველებს „გეორგიანოს" ანუ „მიწათმოქმედნი" უწოდეს. აქ საუბარი არ არის მიწაზე, როგორც ფიზიკურ მასაზე და მიწაზე, არამედ ესაა მიწა „გე"–რომელზედაც სიცოცხლე აღმოცენდება. ამიტომაც ქართველს მიწა განსაკუთრებით უყვარს და უვლის. დედა–მიწა ანუ მიწა–დედა არის არა მხოლოდ ცოცხალთა მასაზრდოებელი, არამედ იგი განაგრძობს დედობას გარდაცვალებულთათვისაც.

მშობლიური მიწისადმი სიყვარულს ღრმა ფესვები აქვს. მიწათმოქმედი კაცი თავჩაქინდრული ჩასცქეროდა თავის მარჩენალს, თავის მშობელს, ეცნობოდა მის სიკეთეს, იყენებდა მას. ასე თანდათან ავითარებდა იგი სოფლის მეურნეობის საფუძვლებს.

დღეს უდიდესი როლი ენიჭება ქვეყანაში მყარი ეკონომიკური ბაზისის შექმნას, რომლის ერთ–ერთ უპირატეს როლს წარმოდგენს სოფლის მეურნეობა. „თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზოგადოებისა, სიმდიდრისა, არის სოფლის მეურნეობა". წერდა ილია ჭავჭავაძე.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, არსებული პრობლემების გაცნობის, მათი გადაჭრის გზების ძიების და ზოგადად სოფლის მეურნეობის თემატიკის გარშემო აღძრული საკითხების განხილვისათვის, ჩვენ ვიწყებთ ახალ რუბრიკას „წარმატების ფორმულა ფერმერთათვის", სადაც საუბარი გვექნება იმ ყველაფერზე, რომელიც სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს. ჩვენი მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გავაცნოთ იმ ფერმერთა გამოცდილებები, რომლებმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მემცენარეობისა თუ მეცხოველეობის დარგებში, მოგაწვდით ინფორმაციებს მცენარეთა და ცხოველთა მოვლის შესახებ, გაგაცნობთ ამ კუთხით ახალ ინოვაციებს და ტექნოლოგიებს.

იმედი გვაქვს, მოსახლეობა ითანამშრომლებს ჩვენთან, მოგვაწოდეთ თქვენთვის აქტუალური შეკითხვები, წინადადებები, მიღწევები, პრობლემები. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვეცდებით უყურადღებოდ არ დავტოვოთ არც ერთი მათგანი.



ჩვენი გაზეთის ახალი რუბრიკის პირველი სტუმარია ბატონი **ანგულ მიქავა**–სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო–საკონსულტაციო სამსახურის უფროსი.

***ჩვენი მუნიციპალიტეტის საზოგადოება ინტერესით ელოდებოდა ახალი სამსახურის შექმნას, ინტერესით იმიტომ, რომ იგი ისეთ დარგთანაა დაკავშირებული, რომელიც სასიცოცხლოა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, აქედან გამომდინარე, წარმოგვიდგინეთ თქვენი სამსახური, მისი შექმნის არსი, ძირითადი საქმიანობა და მიზნები.***

–ჩვენი სამსახურები, ქვეყნის მასშტაბით შექმნილია „სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის №485 დადგენილების საფუძველზე. იგი ანგარიშვალდებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე, რომელიც ამ სამსახურების ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით ახორციელებს.

დებულებიდან გამომდინარე ჩვენი უფლებამოსილება ძალიან ტევადია, რაც მოიცავს შემდეგ ფუნქციებს: ინფორმაციის შეგროვება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ საზღვრებში არსებული სასოფლო–სამეურნეო სავარგულების შესახებ, ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების, ასევე საწარმოო საშუალებების ღირებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება–ანალიზი, სასაწყობო და გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლა, მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის კომისიებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში შექმნილ საგანგებო სიტუაციათა ანალიზი მათი შეფასება. ყველაზე ძირითადი და პრიორიტეტული, რომელსაც დებულება გვავალდებულებს, ესაა საინფორმაციო–საკონსულტაციო მუშაობა, რომელიც გულისხმობს ფერმერთა ინფორმირებას მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა:

–სოფლის მეურნეობაში მოქმედი სამართლებრივი და საგადასახადო ვალდებულებები.

–მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ეკონომიკური შეფასება და დაინტერესებული პირებისათვის რეკომენდაციების გაცემა:

–სასოფლო–სამეურნეო კულტურების განაშენიანება–მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა.

–ბაზარზე არსებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დაინტერესებული პირებისათვის მათი გამოყენების მართებული მეთოდების შეფასება;

–სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა.

რა თქმა უნდა, ერთ საგაზეთო სტატიაში რთულია ყველა იმ სამუშაოების ჩამოთვლა, რომელიც ჩვენმა სამსახურმა უნდა განახორციელოს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ჩვენ ვგეგმავთ თითოეულ ფერმერთან მისვლას, მათთან თანამშრომლობას და ერთობლივი მუშაობის საფუძველზე, სოფლის მეურნეობის დარგების გაძლიერებას.

***იგეგმება თუ არა სამსახურის გაფართოება სოფლებსა და თემების დონეზე, თუ გაიზრდება მუშაკთა რიცხვი სამსახურის შიგნით?***

–გვაქვს ინფორმაცია, რომ იგეგმება სამინისტროს მმართველობის სფეროში ტერიტორიული ორგანოების სამსახურების დებულებასა და საშტატო ერთეულებში ცვლილებები.

***თქვენ, როგორც სოფლის მეურნეობის გამოცდილი მუშაკი, რა პრობლემებს ხედავთ დღეს ამ დარგში, როგორ სახავთ ამ პრობლემების მოგვარების გზებს?***

–სიმართლე გითხრათ არ არის საკმარისი მარტო განვლილ წლებში დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება თუ თეორიული ცოდნა. დარგის განვითარებისათვის გამოცდილებასთან ერთად უნდა გვქონდეს შემუშავებული სწორი სტრატეგია. პრობლემებიდან გამოვყოფდი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მელიორილებული მიწების მეორადი დაჭაობებისაგან თავის დაღწევას და ნაყოფიერების ზრდას. ასევე აუცილებელია სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური გადაიარაღებას, მანქანათა გამოყენების ხელმისაწვდომობა. ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების მოშენება, ტრადიცულის შენარჩუნება, წარმოებული პროდუქციის მაღალ თვითღირებულება.

***სოფლის მეურნეობის რომელი დარგები იქნება თქვენთვის პრიორიტეტული, პირველ რიგში საიდან იწყებთ მუშაობას, რის გაკეთებას აპირებთ დასაწყისში?***

–პირველ რიგში აუცილებელია მუნიციპალიტეტებში სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციის ჩამოყალიბება–განვითარება, მეცხოველეობის, მემცენარეობის, მეთევზეობის, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის, სასოფლო–სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარებაზე პოლიტიკის ჩამოყალიბება, სწორედ აქედან ვიწყებთ. აღნიშნულის განხორციელების გარეშე შეუძლებელია სოფლის–მეურნეობის განვითარება არსებული პრობლემების მოგვარება.

***როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ გლეხი დაუბრუნდეს მიწას, აალორძინოს მეცხოველეობა.***

–წვრილ გლეხურ მეურნეობაში დასაქმებული მეწარმე არასოდეს დაშორებია მიწას აქ მთავარი იყო და არის, რა შრომის ფასად უჯდებოდა მას წარმოებული პროდუქცია. სწორედ ზემოთხსენებული პრობლემების გადაწყვეტა აალორძინებს სოფლის მეურნეობას და დაფასდება მეწარმის შრომა.

***ხვნა–თესვის კომპანია, რომელიც წელს მიმდინარეობს, მხოლოდ ერთჯერადია თუ გაგრძელდება იგი მომავალ წლებში?***

–მართლაც, რომ უპრეცედენტო პროგრამა ხორციელდება და იმედი გვაქვს იგი წარმატებით დასრულდება, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოიხნა და ითესება ისეთი ფართობები, რომლებიც წლობით არ დამუშავებულა. სასოფლო–სამეურნეო ბარათების გამოყენებით მოსახლეობას მიტოვებული მიწების დამუშავების, სათესლე მასალის, სასუქის და სხვა სასოფლო–სამეურნეო ინვენტარის შეძენის საშუალება მიეცა. ჩვენი ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულია, აქედან გამომდინარე დარწმუნებული ვარ, რომ ეს თუ არა, სხვა მსგავსი ტიპის პროექტები აუცილებლად განხორციელდება, რათა შეიცვალოს სოფლის მეურნეობის მომავალი და სტიმული მიეცეს ქართული სოფლის მეურნეობის განვითარებას.

***რომელ საწარმოებთან, დაწესებულებებთან გექნებათ საქმიანი ურთიერთობები, გაქვთ თუ არა მონიტორინგის განხორციელების უფლება?***

–ურთიერთობები გვექნება განურჩევლად ყველასთან, დაწყებული წვრილ გლეხური მეურნეობებიდან. დარწმუნებული ვარ უახლოეს მომავალში დაიწყება მჭიდრო თანამშრომლობა ახალი ტექნოლოგიებით მომუშავე საწარმოებთან.

***სურვილები, რომლის შესასრულებლადაც სიამოვნებით იმუშავებთ.***

–მცირე ფერმერებთან შეხვედრებმა, რომელიც მცირე დროის მონაკვეთში მოვახერხეთ დაგვარწმუნა, რომ ფერმერთა მხრიდან არის დაინტერესება, ინიციატივები, ყურადსაღები იდეები. ახლა მთავარია რამდენად სწორ–ინფორმაციას და კონსულტაციას გავუწევთ მათ.

ამოქმედდა რამდენიმე საწარმო, ხეთასა და შუა ხორგის თემებში საკმაოდ კარგი პერსპექტივით. ყოველთვის მექნება სურვილი შევხვდე სხვადასხვა დარგში მომუშავე ფერმერებს, მოვისმინო მათი წინადადებები და ჩემის მხრივ მეც გავუწიო მათ სათანადო კონსულტაციები.

***ესაუბრა მანანა შულაია***

5

# წარმატების ფორმულა ფერმერთათვის

*„თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზოგადოებისა, სიმდიდრისა, არის სოფლის მეურნეობა“.*

*ილია ჭავჭავაძე.*

9

## ციტრუსოვანთა და თხილის კულტურის შეწამვლის აგროვადები და წესები

ჩვენს რაიონში მრავალწლიანი კულტურებიდან ძირითადად გავრცელებულია ციტრუსოვანი კულტურები, თხილი და დაფნა.

ციტრუსოვანი გვარის კულტურული სახეებია: მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი და გრეიფრუტი. ციტრუსოვანი კულტურების ნიადაგის მოვლის მიზნით გამოყენებულია აგროტექნიკის სხვადასხვა ღონისძიებები: შავად ხნული, სიდერატები, რიგთაშორისებში სათოხნი კულტურების თესვა, მულჩირება, პერიოდულად ნიადაგის ღრმად გაფხვიერება. ციტრუსოვან კულტურებს აზიანებს ასამდე სახეობის მავნებელი დაავადებანი. ამჟამად მასიური გავრცელებით გამოირჩევა: მავნებლები-ციტრუსოვანთა წითელ ბეწვიანი ტკიპეპი, ციტრუსოვანთა ფრთათეთრა, ციტრუსოვანთა მენალმე ჩრჩილი, მიხაკისფერი, ჩხირისებრი ფარიანები, რბილი ღინღლიანი ბალიშა, ზღვისპირაფქვილისებრი და ავსტრალიური ღარებიანი ცრუფარიანები.

დაავადებები -ციტრუსოვანთა მეჭეჭიანობა ანუ ციტრუსები, გომოზი, ბაქტერიული ნეკროზი( ციტრუს ბლასტი), ნაცრიფერი სიდამპლე(ანთრაქოზი).მალსეკო ანუ ხმელა. აღნიშნული მავნებელი დაავადებების წინააღმდეგ უნდა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

**პირველი წამლობა**–ადრე გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყებამდე(მარტის დასაწყისში) -სპილენძისშემცველი ფუნგიციდები: სპილენძის სულფატი + კალციუმის ჰიდროქსიდი 20-25კგ|ჰა(ბორდოს ნარევი, ბორდოს ნარევი მაქსი: კუპერვალი, კუპერვალი ბლუ,) ან კუპროქსატი 5ლ/ჰა.

**მეორე წამლობა**–ადრე გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყებამდე (მარტის ბოლო) მავნებლების მოზამთრე ფაზების წინააღმდეგ (ფარიანენბი, ცრუფარიანები, ტკიპები) კონფიდორ ოილი 15ლ/ჰა ან მინერალური ზეთი-25-30ლ/ჰა +დიმეთოატი- 1,5-2ლ/ჰა (ბი-58ახალი დინგო, საფაგორი,დი-68, ბი-ფოსფანი,).

**მესამე წამლობა** -აპრილი- მაისი, დიფენოკონაზოლი-0,3ლ/ჰა(სკორი, სკორპიონი, დივიდენდი)+დიმეთოატი-1,5-2ლ/ჰა(ბი-58ახალი დინგო, საფაგორი ,პოლიგორი, დი-68)

**მეოთხე წამლობა** - მაისის ბოლო ივნისის დასაწყისი, დიფენოკონაზოლი-0,3ლ/ჰა(სკორი, სკორპიონი, დივიდენდი)+ დიმეთოატი400გრ/ლ-1,5-2ლ/ჰა(ბი-58 ახალი დინგო, საფაგორი, პოლიგორი, დი-68, ბი-ფოსფინი).

**მეხუთე წამლობა**-ივნისის ბოლოს, წამლობა ტარდება იგივე პრეპარატების გამოყენებით.

მეექვსე წამლობა -ტარდება მოსავლის აღებამდე 1 თვით ადრე სპილენძის ჰიდროქსიდი(იროკო 2-3კგ/ჰა, ჩემპიონი 4კგ/ჰა).

ტკიპეპის წინააღმდეგ გამოიყენება: ტებუფენპირადი0,3-0.5კგ/ჰა(მასაი, ტალავი)ან ბრომპროპილატი1,5-3ლ/ჰა(ნერონი, ფაქტორი) ან ენვიდორი 0,4-0,6ლ/ჰა.

საქართველოს გააჩნია ყველა მახასიათებლები იმისათვის რათა მომავალში იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე თხილის ბაზარზე, რადგან შეიძლება გაფართოვდეს გამრავლებით, გაუმჯობესდეს ხარისხით. ამის ნათელი მაგალითია სოფელ ხიბულაში 800 ჰექტარზე გაშენებული თხილის პლანტაცია (მფლობელი შ.პ.ს აგროჯორჯია). საქართველოსთვის დამახასიათებელი საუკეთესო ჯიშებია ანაკლიური ჯიშის მრგვალი და დედოფლისთითი. ასევე რეკომენდებული და გავრცელებული ჯიშებია: ბარსელონა(ნაჭუჭში), ენისი.

ყველაზე ფართოდ გამოიყენება პრეპარატი გლიფოსატი -(სავაჭრო სახელი „კლინი“ „ურაგან ფორტე“ და მისთ) დოზირება მერყეობს 4-5ლ/ჰა რაც უნდა გაიხსნას 300-400ლ/წყალში. მისი მოქმედების ხანგრძლივობაა-30 დღე. ეფექტურია სარეველების ყველა ნაირსახეობის წინააღმდეგ. კონტაქტური ჰერბიციდიდან ფართოდ გამოიყენება გლუფოსინატ ამონიუმი (სავაჭრო სახელი „ბასტა“ და მისთ) დოზირება 6ლ/ჰა. რაც უნდა გაიხსნას 300-400ლ /წყალში. მისი მოქმედების ხანგრძლივობაა-15-20 დღე.შეწამლვა ძირითადად მაისის თვეში.

მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის მეთოდები: ფოთოლჭამია მწერები (ამერიკული თეთრი პეპელა)-გამოიყენება პრეპარატის პესტიციდის -ლამბდა ციჰალოტრინი(კარატე ზეონი 1,5) დოზა 0,5-1ლ/ჰაზე შესხურება ხდება ადრე გაზაფხულზე ჭუპრების გამოჩეკვისას. კვირტიჭამია მავნებელი -ბრძოლის მეთოდი : ადრეულ გაზაფხულზე(აპრილის მეორე ნახევარში) სპირიდოკლოფენი (ენვიდორი) 0,5ლ/ჰა. თითო შესხურება ორჯერ ერთკვირიანი ინტერვალით. გოგირდის ფხვნილი(სულფოლაკი)25-30კგ/ჰა . დაზიანებული კვირტები უკვე თებერვალში ჩანს. ხორთუმიანი ბაღლინჯოები-გამოიყენება ქიმიური პრეპარატის(ლამბდა ციჰალოტრინი) მწერის გამოჩენისთანავე (მაის- ივნისი)

ხავსი და ლიქენები -ამ დაავადების წინააღმდეგ გამოიყენება სპილენძისა და გოგირდოვანი კირის ხსნარი. მისი შესხურება ამცირებს ხავსის რაოდენობას. შეწამლვა საჭიროა ზამთრის დასაწისში ან გაზაფხულზე მარტის დასაწისში. ხავსი და ლიქენები განადგურების შემდეგ ხიდან თვითონ ჩამოცვივიან.

ყოველთვის წაიკითხეთ ეტიკეტი. იმოქმედეთ ინსტრუქციის მიხედვით.(ნუ შეწამლავთ ქარიან და წვიმიან ამინდში).

## სიმინდის მოყვანის ზოგადი კონსულტაციები

### ზოგადი დახასიათება

რამოდენიმე წელია, რაც სიმინდის კულტურის მიმართ გამოიკვეთა მზარდი ინტერესი, როგორც მწარმოებელთა, ასევე მეცხოველეთა მხრიდან. სიმინდი მაღალპროდუქტიულია და მას იყენებენ როგორც სასურსათოდ, ასევე სტაბილურ საკვებად პირუტყვისათვის. სიმინდი აგროტექნიკური თვალსაზრისითაც საყურადღებო მცენარეა, იგი როგორც სათოხნი კულტურა სარეველებისაგან ასუფთავებს ნაკვეთს და კარგ პირობას ქმნის თესლბრუნვაში არსებული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

### ნიადაგი

სიმინდი მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ტიპის და მექანიკური შემადგენლობის ნიადაგზე მოდის, ის კარგად იყენებს ნოყიერ ნიადაგს, კორდს, ახლად ათვისებულ ყამირს, ასევე მაღალ და სტაბილურ მოსავალს იძლევა მდინარის პირას დანალექ ნიადაგებზე.

### კვება

სიმინდი მაქსიმალურად იყენებს კვების კარგ პირობებს. იგი უხვსა და მყარ მოსავალს იძლევა, როდესაც სასუქები შეგვაქვს წილადობრივად. სასუქის გამოყენება ინდივიდუალურად დგინდება ნიადაგის ცალკეული ტიპებისათვის. სიმინდის კულტურის ქვეშ გამოსაყენებელი მინერალური სასუქების საორიენტაციო დოზებია შემდეგი ფიზიკური წონით: ამონიუმის გვარჯილა 170-350 კგ/ჰა, სუპერპოსფატი 330-500 კგ/ჰა, კალიუმის მარილი 170-250 კგ/ჰა, ამ უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გავრცელებულია ნიტროამოფოსი (N16, P16, K16) 550-600 კგ ნორმით. სუპერპოსფატი და კალიუმის მარილი უნდა შევიტანოთ ერთჯერადად ხვნის წინ ან ნიადაგის თესვისწინა დამუშავების დროს. მნიშვნელოვანია აზოტის სწორი და დროული შეტანა. აზოტის შეტანის ოპტიმალური სქემაა: მთლიანი აზოტის 25% შეტანა თესვისას, 60% 5-6 ფოთლის ფაზაში, ხოლო დარჩენილი 15% ბოლო კულტივაციისას, როცა სიმინდი მიაღწევს 50-60 სმ სიმაღლეს, რაც შეეხება ნიტროამოფოსს იგი უმჯობესია ხვნის წინ იქნას შეტანილი.

**ნიადაგის დამუშავება.**

სიმინდისათვის ნიოადაგის მომზადების მთავარი მიზანია მინერალური ბალანსის, ნიადაგის ტენიანობისა და სარეველებთან ბრძოლის უზრუნველყოფა. დასავლეთ საქართველოში სიმინდის გავრცელების რაიონებში შემოდგომა ზამთრის პერიოდში ხვნა ბევრად უკეთეს პირობებს უქმნის სიმინდს, ვიდრე ადრე გაზაფხულის ხვნა, რადგან ადრე გაზაფხულზე მოხნული ნიადაგი სწრაფად კარგავს წყალს და შრება, ისე, რომ მისი მომზადება დასათესად ვერ ესწრება, ხნული დიდბელტიანი რჩება, ხოლო მზრალი კი საკმაო ტენს ინარჩუნებს თესლის დროული და თანაბარი აღმოცენებისათვის, მაგრამ მეურნეობრიობის დაქუცმაცებულ სტრუქტურაზე გადასვლამ და შესაბამისად გლეხური მცირე მეურნეობის რაოდენობრივმა ზრდამ გამოიწვია მიწათმოქმედების საერთო კულტურის გაუარესება, რასაც ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკის არქონაც დაერთო, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ცალკეული ადამიანების ხელში აღმოჩნდა და იმის გამო, რომ ვერ ხერხდება ტექნიკის საექსპლუატაციო პირობების დაცვა, ტრაქტორები ხშირად ფუჭდება, ხოლო სარემონტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არქონის გამო რემონტი გვიანდება. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე ნიადაგის დამუშავება აგროტექნიკურ ვადებს ცდება, რაც თავისთავად აისახება მოსავლის ხარისხსა და რაოდენობაზე. რადგან ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე ნიადაგის დამუშავებას შემოდგომაზე ვერ ვახერხებთ; გაზაფხულზე ნიადაგი უნდა მოიხნას 20-25 სმ სიღრმეზე, მაქსიმალური სიფხვიერის მისაღწევად კი დაიდისკოს ფარცხის მიყოლებით.

### მექანიზაცია

ამჟამად თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას შპს „მექანიზატორი“ და ცალკეული ფერმერები ფლობენ, მათ გააჩნიათ „ბელორუსის“, „ზეტორის“, „ჯონ დერის“, „კლასის“, „ნიუ ჰოლანდის“ 100 და მეტი ცხენის ძალის მქონე თვლებიანი და მუხლუხა ტრაქტორები, ასევე უკრაინული, რუმინული და იტალიური წარმოების თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღები, გუთნები, დისკები, ფარცხები, სათესები, კულტივატორები, შემსხურებელი აგრეგატები, მოსავლის ასაღები მანქანები.

### თესვა

თესვის ოპტიმალურ ვადად ითვლება მარტის ბოლოდან მაისის შუა რიცხვებამდე, როცა ნიადაგის ტემპერატურა მიაღწევს 8-10 0C სიმინდის ჩათესვის სიღრმე განისაზღვრება ზონის, ჰავის პირობების, ნიადაგის მექანიკური შემადგენლობისა და ტენიანობის გათვალისწინებით. თესვის ოპტიმალურ სიღრმეს წარმოადგენს 4-8 სმ, მაღალი ტენიანობისა და შედარებითი დაბალი ტემპერატურის პირობებში სიმინდი უნდა დაითესოს შედარებით მაღლა - 4 სმ-ზე, პირიქით როცა ნიადაგის ტემპერატურა შედარებით მაღალია, ხოლო ტენის შემცველობა ნაკლები თესვის სიღრმე უნდა გაიზარდოს 8 სმ-მდე, შუალედურ პირობებში სიმინდი ითესება 5-6 სმ სიღრმეზე. სიმინდის სათესად სასურველია თანამედროვე პუნქტირული სათესი მანქანების გამოყენება, 70 სმ მწკრივთა შორისებითა და მწკრივში 18-25 სმ მცენარეთა შორის მანძილით. თესვის სიხშირე უფრო მაღალია საკვები ნივთიერებებით გამდიდრებულ წყლით უზრუნველყოფილ კარგად მომზადებულ ფართობებში.

**ნათესის მოვლა**

თესვის შემდეგ ნიადაგის ქერქის დასაშლელად, ნიადაგის დასამუშავებლად და სარეველების მოსპობის მიზნით ტარდება ფარცხვა მსუბუქი ფარცხით, ნათესის გარდი-გარდმო მიმართულებით სიმინდის 2-3 ფოთლის ფაზაში. პირველი თოხნა-კულტივაცია ტარდება აღმონაცენის დაფარცხვის შემდეგ სიმინდის 3-5 ფოთლის ფაზაში 8-10 სმ სიღრმეზე, მეორე კულტივაცია პირველი თოხნიდან 10-12 დღის შემდეგ. სიმინდის 2-3 ფოთლის ფაზაში ფართოფოთლიანი სარეველების წინააღმდეგ საჭიროა 1.5-2 კგ ჰა 2.4 დ ამინის მარილის გამოყენება, ხოლო ფესვნაყრიანი სარეველების წინააღმდეგ, როდესაც მათი სიმაღლე 10-15 სმ მიაღწევს, კულტურის 5-6 ფოთლის ფაზამდე 25%-იანი „ტიტუსი“-ს (0.04 კგ/ჰა) მისი ანალოგიების შესხურება. (დოზირება 300-400 ლ/ჰა) იმ მინდორზე სადაც დაითესება სიმინდი წინამორბედი კულტურის აღების შემდეგ დარჩენილ სარეველებზე საჭიროა ტოტალური მოქმედების ჰერბიციდების გამოყენება. მავნე მწერების წინააღმდეგ (სიმინდისა ანუ ღეროს ფარვანა, მდელოს ხვატარი, ბუგრები და სხვ.) გამოიყენება ქლორპირიფოსი 2 ლ/ჰა (დურსბანი, საირენი, ლოქსლი, პირინექსი, პიროლექტრა) ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართლებულია ბიოლოგიური ინსექტიციდების გამოყენება - დიპელი 1-5-2 ლ/ჰა

### მოსავლის აღება

მოსავლის აღების ოპტიმალური ვადა დგება მაშინ, როდესაც ტაროების 65 -70 % სრულ სიმწიფეშია.

### სიმინდის ჯიშები და ჰიბრიდები

დასავლეთ საქართველოში სიმინდის მრავალი მაღალმოსავლიანი ჯიშია გავრცელებული, მოსახლეობა ძირითადად თესავს:

1. აჯამეთის თეთრი, მაღალმოსავლიანი 6-7 ტონა ჰა-ზე, სრულ სიმწიფემდე სჭირდება 135-145 დღე.

2. აბაშური ყვითელი, მაღალმოსავლიანი 6-7 ტონა ჰა-ზე, კბილა და ნახევრად კბილა, სავეგეტაციო პერიოდი 130-140 დღე.

აღსანიშნავია, ასევე რომ ფერმერთა მომსახურეობის ცენტრები სიმინდის ჰიბრიდული ჯიშების ფართო არჩევანს გვთავაზობენ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ახალი ჰიბრიდების გამოცდისა და დაკვირვების პროცესი. ბევრმა ჰიბრიდმა უკვე დაიმსახურა მოწონება, ზოგიერთი კი ახალია და პირველად არის წარმოდგენილი ბაზარზე, ჰიბრიდული ჯიშებისათვის დამახასიათებელია მაღალი მოსავლიანობა, მარცვლის მიერ ტენის სწრაფად გაცემის უნარი. ჯიშის სწორად შერჩევის შემთხვევაში იძლევა სტაბილურ მოსავალს სხვადასხვა ნიადაგობრივ კლიმატურ პირობებში. ჰიბრიდის სავეგეტაციო პერიოდის ნიადაგის ნაყოფიერებისა და ტენიანობის მიხედვით ჰა-ზე ითესება 60000-80000 მარცვალი. მოსახლეობაში გავრცელებულია აზრი, თითქოს ყველა ჰიბრიდული სიმინდი გენმოდიფიცირებულია, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, იმდენად კონსერვატულია, რომ სიახლეს ძნელად იტანს არადა ტექნოლოგიების ყველა ელემენტის სწორად გამოყენების შემთხვევაში მივიღებთ, რეკორდულად მაღალ მოსავალს.

ჰიბრიდული ჯიშების ძირითადი მწარმოებლებია კომპანია „პიონერი“ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აპრობირებულია „პიონერი“-ს შემდეგი ჯიშები:

1. PR35F38 - ვეგეტაციის პერიოდი 110 დღე, მოსავლიანობა (6-8) ტ ჰა, მარცვლის ფერი ყვითელი, თესვის ნორმა (60-65) ათასი მცენარე. გამოირჩევა გვალვა გამძლეობითა და დაავადებისადმი მედეგობით.

2. „ლუცილა“ - ვეგეტაციის პერიოდი 100 დღე, მარცვლის ფერი თეთრი, თესვის ნორმა 65-70 ათასი მცენარე, მოსავლიანობა 8-10 ტ/ჰა, ხასიათდება გრძელი მცირედკონუსური ტაროებით, შედარებით წვრილი ნაქუჩით.

3. PR32B10 - ვეგეტაციის პერიოდი 130 დღე, მარცვლის ფერი თეთრი, თესვის ნორმა 60-65 ათასი მცენარე, მოსავლიანობა 8-10 ტ/ჰა, ავლენს მოსავლიანობის მაღალ პოტენციალს კარგი კვების პირობებში

ფრანგული კომპანია „კოსად სემანს ჯორჯია“

სიმინდის ჰიბრიდებია:

1. მასტრი კს - ვეგეტაციის პერიოდი საშუალოდ ადრეული, მოსავლიანობა 10-12 ტ/ჰა, გვალვისა და დაავადებების მიმართ მდგრადი, თესვის ნორმა 80000-90000 მარცვალი ჰა-ზე.

2. კრაზი კს - ვეგეტაციის პერიოდი საშუალოდ ადრეული, მოსავლიანობა 10-12 ტ/ჰა-ზე, მდგრადია მარცვლის სოკოვანი დაავადებების მიმართ, გააჩნია სახამებლის დიდი შემცველობა 57%

ამრიგად, მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე მეწარმეობის განვითარებას. არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან აგრარულ სექტორში ფუნქციონირებად მცირე საწარმოების (გლეხური, ინდივიდუალური, ფერმერული მეურნეობები) შემდგომ სამეწარმეო აქტიურობასა და განვითარებას. მეურნეობრიობის მცირე ფორმების არსებობა მოითხოვს მათი განვითარებისათვის აუცილებელი ახალი ამოცანების გადაჭრას, ეკონომიკური განვითარების ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებული სტრატეგიის განსაზღვრას. ზემოთ აღნიშნული მთელი რიგი პრობლემატური საკითხების გადაჭრა შესაძლებელია მათი კოპერირებისა და ინტეგრირების განვითარების გზით. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად არის ჩართული კოპერაციის შესახებ კანონის შემუშავებაში, კოოპერატივების

მიმართ განხორციელდება სახელმწიფოს ხელშეწყობის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა შეღავათიანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

# კვებითი დარღვევები: ანორექსია და ბულემია

ნერვული ანორექსია ნიშნავს საკვების მადის არქონას და შეიძლება იყოს უამრავი დაავადების სიმპტომი. ის ხასიათდება ადამიანის მიერ საკვების შეზღუდვით ან სრულიად უარყოფით, რაც იწვევს წონის არანორმალურ კლებას და საბოლოო ჯამში-სიკვდილს. ანორექსიის დროს ადამიანს წონის მომატების პანიკური შიში აქვს. რაც არ უნდა გამხდარი იყოს, სარკეში ჩახედვისას თავი მაინც მსუქანი ეჩვენება. ანორექსიით დაავადებულს ვერაფრით გავაგებინებთ, თუ როგორია მისი იდეალური წონა. ის ყოველთვის დარწმუნებულია, რომ ჭარბი წონა აქვს.

ეს დაავადება, უპირატესად, უვითარდებათ ახალგაზრდა გოგონებს, რომლებიც ბაძავენ არანორმალურად გამხდარ ცნობილ მოდელებსა და მსახიობებს. ისინი მუდმივად იცავენ დიეტებს და საბოლოოდ სრულიად ამბობენ კვებაზე უარს, აქვთ გასუქების აკვიატებული შიში და ადექვატურად ველარ აფასებენ საკუთარ მდგომარეობას. ნერვული ანორექსია ფსიქოლოგიურ დარღვევებს შორის ყველაზე მაღალი სიკვდილიანობით ხასიათდება. დაახლოებით 10% ადამიანებისა, რომლებსაც აქვთ ეს დიაგნოზი, იღუპება მასთან დაკავშირებული გართულებებით. ამ დროს ზიანდება გულსისხლძარღვთა სისტემა, ვითარდება ბრადიკარდია. ასეთ ადამიანებს აქვთ დარღვეული ელექტროლიტთა ბალანსი, ფოსფატების დაბალი შემცველობა, რომელიც იწვევს გულის დაზიანებას, კუნთების სისუსტეს, იმუნური სისტემის დაქვეითებას და საბოლოოდ, სიკვდილს. ისინი, ვისაც ანორექსია სრულწლოვნობამდე განუვითარდათ, ნორმალურად არ იზრდებიან და აღენიშნებათ აუცილებელი ჰორმონების (მათ შორის სასქესო ჰორმონების) შემცირებული რაოდენობა. 38-50%-ში შეიძლება განვითარდეს აგრეთვე ოსტეოპოროზი. ანორექსია ყველას ერთნაირ ზიანს არ აყენებს. მაგალითად, შეიძლება სხვადასხვა შედეგი გამოიწვიოს მოზარდებსა და მოზრდილებში.

ნერვული ანორექსია იწვევს ცვლილებებს ტვინის სტრუქტურასა და ფუნქციებში. ვარაუდობენ, რომ შიმშილთან დაკავშირებულია ტვინის პარკუჭების ზომაში მატება. ნორმალური წონის აღდგენისას ისინიც ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდებიან. ანორექსიასთან აგრეთვე დაკავშირებულია სისხლის მიმოქცევის შემცირება საფეთქლის წილში. საშუალებები და გზები, რომლებიც ხელს უწყობენ წონის კლებას ან დაბალი წონის შენარჩუნებას არის მრავალგვარი: კალორიული საკვებისგან თავის არიდება, პირღებინების ან ფაღარათის ხელოვნურად გამოწვევა, გადაჭარბებული ვარჯიში, მადის დამაქვეითებლების ან შარდმდენი საშუალებების ჭარბი გამოყენება. თუ ანორექსია ვითარდება პუბერტულ ასაკამდე, ის იწვევს ზრდის და განვითარების შეჩერებას ან შენელებას.

არის უამრავი ნიშანი, რომელიც აუცილებელი არ არის ანორექსიის დიაგნოსტირებისთვის, მაგრამ ხშირად (არა ყოველთვის) თან ახლავს მას, ესენია: სხეულის არაადექვატურად აღქმა, საკვების მიღებამდე და მის შემდეგ საკვების და წონის მუდმივი კონტროლი, თვითშეფასების დაქვეითება, დეპრესია ან ქრონიკულად ცუდ ხასიათზე ყოფნა, მუდმივი შიში გასუქებისა, მეგობრებთან ან სხვა ნაცნობებთან ურთიერთობის გაწყვეტა ან გაფუჭება, წონის ძლიერი დაკარგვა, სხეულზე ზედმეტი თმის გაზრდა, იმუნური სისტემის ფუნქციის დაქვეითება, ადამიანს აღენიშნება ძლიერ სიფერმკრთალე და ჩაცვენილი თვალები, ძვლებისა და სახსრების ჭრიალი, თმის გათხელება, გადაჭარბებული ვარჯიში, მუდმივი სიცივის შეგრძნება. წონის ძლიერმა კლებამ შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე ნერვის გადაადგილება, რის შედეგადაც გაძნელდეს კიდურების მოძრაობა,. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს საკუთარი თავის ვნებას,

თვითმკვლელობის მცდელობებს. ასეთი ადამიანები წონის შესახებ მითითებებზე, „აკრძალული" საკვების დაძალებისას წარმოუდგენელ სიბრაზეს ავლენენ. მათ რაც უნდა ცოტა ჭამონ, მაინც კუჭის გადავსებისა და სიმსუქნის შეგრძნება უჩნდებათ.

დადგენილია, რომ ანორექსია ფსიქიკური დაავადებაა. სამწუხაროდ, მისი მკურნალობა საკმაოდ რთულია, უფრო რთული, ვიდრე დეპრესიისა ან პანიკის შეტევისა. სამკურნალოდ იყენებენ ტრანკვილიზატორებსა და ანტიდეპრესანტებს. კვებითი გაუკუღმართობის ერთ-ერთი მიზეზი სტრესია, როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური. სწორედ ამიტომ, მკურნალობა გამომწვევი მიზეზების დადგენით უნდა დაიწყოს.

რაც შეეხება ბულიმიას, ეს არის დიდი ოდენობის საკვების ეპიზოდური, უკონტროლო ჭამა შემდგომი პირღებინებით სხვადასხვა ქიმიური საშუალებების გამოყენებით, შიმშილობა ან ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა. პოპულარულ ენაზე მას „მგლის მადას" უწოდებენ, თუმცა სამედიცინო თვალსაზრისით, ბულიმიის ქვეშ სერიოზული ნერვულ-ფსიქიური დარღვევა იგულისხმება.ანორექსიისგან განსხვავებით, ბულიმიის დროს ადამიანი არათუ შიმშილით არ იკლავს თავს, არამედ ზომაზე მეტსაც კი ჭამს (როგორც წესი, მალულად) და შემდეგ იმაზე ფიქრობს, როგორ მოიცილოს მადიანად ათვისებული კალორიები. უმეტესად ნაცად ხერხს – ხელოვნურად გამოწვეულ პირღებინებას მიმართავს, ზოგჯერ კი საფაღარათო და შარდმდენ საშუალებებსაც იყენებს. თუ ანორექსიით დაავადებული წონის მნიშვნელოვან დეფიციტს განიცდის, ბულიმიით შეპყრობილს სხეულის მასის ინდექსი უმეტესად ნორმალური აქვს.

ნერვული ბულიმია, 25-30 წლის ასაკში ვითარდება. ავადმყოფი ხდება მგრძნობიარე, ემოციური, ადვილად აგზნებადი. მშვიდდება საკვების მიღების შემდეგ. ნერვული ბულიმიის დროს ადამიანი თავდაპირველად მხოლოდ სტრესის დროს ჭამს, მოგვიანებით კი მადა სტრესისგან დამოუკიდებლად იღვიძებს. შიმშილის შეგრძნებას, ფაქტობრივად, ნებისმიერი დისკომფორტი იწვევს. საკვებზე ფიქრი ასეთი ადამიანების ცხოვრების არსს შეადგენს.

ბულიმიით დაავადება ძირითადად 15-დან 30 წლამდე ქალებს ახასიათებთ. ბულიმიით დაავადებული მუშაობას გულს ვერ უდებს, პირად ცხოვრებაზე ველარ ფიქრობს, რადგან გულისყური მხოლოდ ჭამისკენ აქვს მიმართული. ის ჭამს კუჭისტკივილამდე, შემდეგ კი ღებინებას იწვევს, რათა შემდეგ კვლავ ჭამას შეუდგეს და ა.შ.

ბულიმიური „ჭამისა და ღებინების სცენები" ხორციელდება სრულ სიმარტოვეში. თუ პროცესში სხვა ადამიანები ან რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორები ჩნდება, ზემოთხსენებული ქმედებები წყდება და იმალება.

საქართველოში ბულიმიით დაავადებულთა სტატისტიკა არ არსებობს. ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბულიმია ყველაზე ხშირად ვითარდება მოზარდი ასაკის

გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებში (15-დან 25 წლამდე); ქალების 2%-ს უვითარდება ბულიმია. პაციენტთა მხოლოდ 10%-ს შეადგენენ მამაკაცები.

ტელე და კინო ინდუსტრიის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იტანჯება ანორექსიითა და ბულიმიით. „ბულიმიით წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი. ეს დაავადება კი არა, ნამდვილი ჯადოა!"-ეს სიტყვები პრინცესა დაიანას ეკუთვნის. მან თავის თავზე იწვნია ამ დაავადების დამანგრეველი შედეგები. ოდრი ჰეპბერნი ლამის მთელი სიცოცხლე აწუხებდა ანორექსია და დეპრესია. ბულიმია-ანორექსიით დაავადებულთა სიაში მოხვდნენ: ჯენეტ ჯექსონი, ვიქტორია ბეკჰემი, ჯერი ჰოლიველი, ალანის მორისეტი, კეიტ ბეკინსეილი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ელტონ ჯონიც .

კვებითი აშლილობის დიაგნოზის დასმა არცთუ ისე იოლია, კიდევ უფრო რთული კი მისი მკურნალობაა, რაც პირველ რიგში ახირებული ადამიანის გადარწმუნებას, მარტივად რომ ვთქვათ, ფსიქოთერაპიას გულისხმობს. ამერიკაში ასე პატივსაცემი პროფესიის ადამიანები, რომლებიც ენით ცვლიან ფსიქიკას, მეტნაკლებად მაინც ახერხებენ, ადამიანი ანორექსიისა და ბულიმიისგან განკურნონ. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ამ პათოლოგიებთან გამკლავება ანტიდეპრესანტებით არის შესაძლებელი.

მკურნალობაში წამყვანია ენდოკრინოლოგისა და ფსიქოთერაპევტის ურთიერთთანამშრომლობა. ენდოკრინოლოგის მიზანია, შეუდგინოს პაციენტს შესაბამისი დიეტა, მისცეს შედარებით დიდი რაოდენობით, მაგრამ დაბალკალორიული საკვები. ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახის მხარდაჭერა და მონდომება სასურველი შედეგის მისაღებად.

**მარიამ ქაცარავა,**

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი.***

სულთათანა

## ივლიანე (გუგუ) სერგია



ომგადახდილთა რიგებს კიდევ ერთი ხანდაზმული ადამიანი, ლენინის ორდენის კავალერი, შრომაში დაბრძენებული კაცი, ნამდვილი მეგობარი, კარგი მამა და ბაბუა გამოაკლდა. 94 წლის ასაკში გარდაიცვალა საჯიჯაოელი ივლიანე (გუგუ) იასონის ძე სერგია. იგი 1919 წელს დაიბადა. სამი წლისას დედა გარდაეცვალა. დედინაცვალმა ივლიანე სერგიას ნამდვილი დედობა გაუწია. მიუხედავად არასასურველი ცხოვრებისა, ოჯახში სითბო და სიყვარული არ მოკლებია.

ცხოვრებასთნ შეჭიდება სრულიად ახალგაზრდას მოუხდა. სკოლაში მხოლოდ სამი წელიწადი დადიოდა. შემდეგ მძღოლის პროფესიას დაეუფლა და ცხოვრება შრომით, ჯაფითა და ბრძოლით აიწყო. 1941 წელს ივლიანე სერგია ომში გაიწვიეს. იბრძოდა ქერჩის მისადგომებთან ბრძოლისას თავში დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტზე იბრძოდა და საქართველოში პრაღიდან 1947 წელს ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

ლამაზი და თბილი ოჯახი ჰქონდა. ხუთი შვილის–სამი ქალიშვილასა და 2 ვაჟიშვილის მამა თავს ბედნიერად თვლიდა მეუღლესთან ერთად.

42 წელი იშრომა საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკაში მძღოლად. რამდენი უძილო ღამე და ხალისიანი დღეებიც ჰქონია მას ამ დიდსა და ენთუზიაზმით აღსავსე კოლექტივთან ერთად.

პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი ოჯახში ფუსფუსებდა და გარემოცული იყო ოჯახური სიამტკბილობით. მხოლოდ, მეუღლის გარდაცვალებამ დაამწუხრა და ატკინა გული. თუმცა ამ სიცარიელეს შვილები, 9 შვილიშვილი და 14 შვილთაშვილის სტუმრობა და სიახლოვე უვსებდა. ცხოვრება მართლაც უხაროდა და თავისი მოდგმის სიხარულით ცხოვრობდა.

წავიდა ამ ცხოვრებიდან გუგუ სერგია და თან შვილების, რძლების, შვილიშვილების და შვილთაშვილების დიდი სიყვარული, მათგან მინიჭებული სიხარული და თბილი დღეების სიმრავლე გაიყოლა.

***ოჯახი.***

---

მეუღლე ნინო ქარჩავა, შვილები: მამუკა, გულნარა, ნინო. შვილიშვილები: ლიზი და ნინიკო ბუკიები, სიძე ედიკა ბუკია, რძალი მანანა კურდღელია, ძმისშვილები: დათა და გიორგი. გამზრდელი გულნარა ჯღარკავა, სიდედრი ნუნუ, სიმამრი გრიშა ქარჩავა. მძახლები იზა და მერაბ ბუკიები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მალხაზ რობერტის ძე ბუბუტეიშვილი**

დაკრძალვა 28 მაისს, სამშაბათს, 16:00 საათზე, ქალაქ ხობის სასაფლაოზე.

---

მამუკა ქარდავა ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა დეიდაშვილი

**მალხაზ ბუბუტეიშვილი**

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ მამუკა ქარდავას დეიდაშვილის

**მალხაზ რობერტის ძე ბუბუტეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელი

**მალხაზ რობერტის ძე ბუბუტეიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

გაზეთ „ხობის მოამბეს" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა კემულარიას ბიძის

**რეზო იოსავას**

გარდაცვალების გამო.

---

ხობის №2 საჯარო სკოლის 2010 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ თანაკლასელ მამუკა ბუბუტეიშვილს მამის

**მალხაზ ბუბუტეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

შუა ხორგის საბავშვო ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელს მაია ნაჭყებიას მამამთილის

**შოთა კიზირიას**

გარდაცვალების გამო.

---

ხობის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ომის აქტიური მონაწილე

**ივლიანე სერგია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## სპორტი

# გენადი კვიკვინია ევროპის ჩემპიონია




10 მაისს ლიტვაში ჩატარებულ მკლავჭიდის ევროპის ჩემპიონატზე მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა გენადი კვიკვინიამ (110კგ) მემარცხენეთა ფინალში სერგეი ტოკარევი დაამარცხა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ულოცავს გენადი კვიკვინიას გამარჯვებას და უსურვებს ასპარეზობაში შემდგომ წარმატებებს.

# ბერძნულ–რომაული ჭიდაობა

10–11 მაისს ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა პირველობა ბერძნულ–რომაულ ჭიდაობაში, რომელიც ბერძნულ–რომაული ჭიდაობის დამსახურებული მწვრთნელის რომან გულიაშვილის ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი.

აღსანიშნავია, რომ ბატონი რომანი წლების განმავლობაში მწვრთნელად მუშაობდა ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში. მისი აღსაზრდელები წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო პირველობებზე.

შეჯიბრებაში 60 მოჭიდავე იღებდა მონაწილეობას. ერთმანეთს ხობის №1, №2, საგვიჩიოს, შუა ხორგის, პირველი მაისის, ხეთის, გურიფულის, ახალი სოფლის, შავღელის, საჯიჯაოს, ზუბისა და ძველი ხიბულის საჯარო სკოლების მოსწავლეები ეჯიბრებოდნენ.

შეჯიბრების გახსნის ცერემონიალს უძღვებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ქარდავა, რომელმაც სიტყვით მიმართა შეჯიბრების მონაწილეებს, მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი კახაბერ ბენიძე, გამგებლის მოადგილე ბატონი მახარე ჩოკორაია.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს:

**26 კგ.**

1. დავით გვასალია (№2 საჯარო სკოლა);
2. ბექა ჭაღალაძე (შავღელეს საჯარო სკოლა);
3. გიორგი აღარაშვილი (საგვიჩიოს საჯარო სკოლა).

**30 კგ.**

1. გიორგი ჭანტურია (საგვიჩიოს საჯარო სკოლა);
2. მალხაზ წოწერია (პირველი მაისის საჯარო სკოლა);
3. სპარტაკ სერგია (საჯიჯაოს საჯარო სკოლა).

**35 კგ.**

1. ბაკურ ქაჯაია (საჯიჯაოს საჯარო სკოლა);
2. კორნელ კონჯარია (საჯიჯაოს საჯარო სკოლა);
3. გიორგი აგუმავა (№1 საჯარო სკოლა).

**38 კგ.**

1. გოგა პერტახია (საჯიჯაოს საჯარო სკოლა);
2. ლუკა გულუა (№1 საჯარო სკოლა);
3. მამუკა ჯოჯუა (პირველი მაისის საჯარო სკოლა).

**42 კგ.**

1. შოთა იოსავა (შუა ხორგის საჯარო სკოლა);
2 გიორგი სოსელია (ზუბის საჯარო სკოლა);
3. თორნიკე ბოლქვაძე (შავღელეს საჯარო სკოლა).

**46 კგ.**

1. ნიკა ყორშია (№1 საჯარო სკოლა);
2. თემურ გოგოხია (№2 საჯარო სკოლა);
3. ზემბე ხუნჯუა (საჯიჯაოს საჯარო სკოლა).

**52 კგ.**

1. ჯონი ხეცურიანი (საჯიჯაოს საჯარო სკოლა);
2. გიორგი ბიგვავა (პირველი მაისის საჯარო სკოლა);
3. ხვთისო მჭედლიძე (ახალი სოფლის საჯარო სკოლა).

**52 კგ.**

1. სოსო შურღაია (საჯიჯაოს საჯარო სკოლა);
2. ნიკა ღურწკაია (ძველი ხიბულის საჯარო სკოლა);
3. პალიკო პაჭკორია (ძველი ხიბულის საჯარო სკოლა).

**მძიმე წონა**

1. თორნიკე შამანაძე (საგვიჩიოს საჯარო სკოლა);
2. დავით ნანეიშვილი (საჯიჯაოს საჯარო სკოლა);
3. გალა მეგრელიშვილი (საგვიჩიოს საჯარო სკოლა).

დაჯილდოების ცერემონიალზე შეჯიბრების ორგანიზატორებმა, მონაწილეებმა და გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ბატონი რომანის ხსოვნას.

გამარჯვებულები დააჯილდოვეს ჭიდაობის სპეციალისტებმა ბატონებმა: ჟიულ პაჭკორიამ, მამუკა ყორშიამ, სურაჯი გვასალიამ, გელა ხუნჯუამ, ზვიად ჭითაშვილმა, ბაკურ ბუკიამ, ვეტერანმა მოჭიდავეებმა ფრიდონ ხარაიშვილმა და ტარიელ შამანაძემ, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრმა ნუგზარ წურწუმიამ. გამარჯვებულებს გადაეცათ სპეციალური თასები და სიგელები.

შეჯიბრება დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ (უფროსი ფერიდე გოგია).

***ლევან ლემონჯავა.***

# მეხანძრეთა პროფესიულ დღეს მიეძღვნა



12 მაისს მეხანძრეთა პროფესიული დღე ხობის მუნიციპალიტეტშიც აღინიშნა. ხობელ მეხანძრეებს მათთვის ეს მნიშვნელოვანი დღე მიულოცეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა **კახაბერ ბენიძემ**, გამგებლის მოადგილეებმა **ბადრი ჯობავამ, მახარე ჩოკორაიამ, როსტომ კილასონიამ** და ხობის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ ქალბატონმა **დინა ჯანჯღავამ.**

მეხანძრეებთან შეხვედრისას გამომსვლელებმა ისაუბრეს ამ პროფესიის ადამიანების გმირობის ტოლფას თავდადებაზე, შრომაზე, აღნიშნეს, რომ „თქვენ ის ადამიანები ხართ, რომლებიც ყველა დროში სჭირდებით ქვეყანას. ხანძარი დიდი უბედურებაა და ამ უბედურებისაგან იცავთ ადამიანებს, ქვეყანას. რომ ცხოვრება ძნელად სავალი აღმართია, ფოლადის მკლავი და ღონიერი მუხლი სჭირდება მეხანძრეს რომ მაღლა ავიდეს. უფალმა კი ამ პროფესიონალ ადამიანებს ეს სიმტკიცე, ნებისყოფა უბოძა. ღმერთმა დაგლოცოთ და არ მოგაკლოთ ჯანმრთელობა და სულის სიმტკიცე. მართალია თქვენ შეჩვეულები ხართ ცეცხლთან ბრძოლას, მაგრამ ვისურვებდით არასოდეს დასჭირვებოდეთ თქვენი პროფესიონალიზმი, მძლავრი მკლავი და მოხერხებულობა ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას“.

ითქვა, რომ ქართველ მეხანძრეებს არა ერთი ჯილდო თუ სიგელი დაუმსახურებიათ, მაგრამ ყველაზე უდიდესი და ღირსსახსოვარი გახლავთ, როდესაც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია–II 1999 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში „რწმენისადმი ერთგულებისათვის, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის, გაჭირვებაში მყოფი მოყვასისადმი უანგარო თანადგომისა და დახმარებისათვის საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პირად შემადგენლობას „წმინდა გიორგის ლეგიონერის“ საპატიო წოდება მიანიჭა და წმინდა გიორგის (ქართულ მეხანძრეთა მფარველის) გამოსახულებიანი დროშა გადასცა.

მეხანძრეებს ხობის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი, გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური ულოცავს პროფესიულ დღესასწაულს და უსურვებს დღეგრძელ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უღრუბლო ზეცას და მშვიდობიან აისს.

ქალბატონმა დინა ჯანჯღავამ მეხანძრეებს საჩუქრად საყოფაცხოვრებო ნივთები და სპორტული ინვენტარი გადასცა.

შეხვედრაზე სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის უფროსმა გოჩა არაჩემიამ. პროფესიული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ა. სიხარულიამ.

## სამადლობელი

სიტყვა „სათნოება“ ყველაფრის მეტყველია... ა(ა)იპ სათნოების სახლში იმყოფებიან უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა ნუგეში და იმედი მომავალი თაობა და ხვალინდელი დღეა.

უდიდესი განცდა იყო თითოეულისათვის დღე, როცა ხობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი ქალბატონი ლალი სურმავა თავის სადამრიგებლო კლასთან ერთად ლამაზი თვალხატულა გოგო–ბიჭებით სათნოების სახლს ესტუმრა, მათ ლექსებითა და თბილი სიტყვებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს ბენეფიციარებს, ჯანმრთელობა, სიმხნევე, დიდხანს სიცოცხლე და ღვთის წყალობა უსურვეს. ბენეფიციარებს სიმბოლურად გადასცეს ლამაზი ყვავილები და სასაჩუქრე პაკეტები. აღნიშნეს, რომ ისინი მუდამ ახსოვთ მომავალ თაობებს და ზრუნავენ მათზე. იყო სიხარულის ცრემლები, პატარები მათ კიდევ უამრავ ლამაზ დღეებს დაჰპირდნენ.

აღნიშნეს, რომ ჰყავთ თანაკლასელი მარიამ ცხადაია, რომელიც დღეს დროებით მათ გვერდით არ არის, სტაციონალურ მკურნალობას გადის, მეგობარს ჯანმრთელობა უსურვეს და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს.

ჩვენც ვუერთდებით ამ პატარების ლამაზ სურვილებს... მათ მეგობარს ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ.

სათნოების სახლის კოლექტივი მადლობას უხდის პედაგოგ ქალბატონს ლალი სურმავას, მოსწავლეთა მშობლებს და მოსწავლეებს თანადგომისათვის.

***ა(ა)იპ სათნოების სახლის ადმინისტრაცია.***

## მილოცვები

### ლუკა ლომჯარიას!



ჩემო პატარა „პრინცო“, ჩემო პირველო დიდო სიხარულო, პირველო შვილიშვილო. გილოცავ დაბადების დღეს, ღმერთმა დაგლოცოს და გაგზარდოს შენს დაიკო ლიზისთან ერთად.

გვიყვარხარ და ყოველთვის გვენატრები ჩვენო გემრიელო და საყვარელო მუნჩულა ლუკა.

შენი ბებო მაყვალა *კილასონია და შენი დედულეთი.*

### თამარ პაპავას!



დედიკოს მეგობრები გილოცავთ თამარობას და დაბადების დღეს, გაიზარდე ბედნიერი, ჯანმრთელი, მხიარული და ყველასათვის საამაყო ქალიშვილი. გვიყვარხარ, გეფერებით. ღმერთი ჰფარავდეს შენს ყველა ნაბიჯს.

*დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.*
*გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“*
*სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.*
*თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.*
*რედაქტორი–მანანა შულაია.*
*ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.*
*კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.*
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.